ლელო

№19
(10979)
8-11 მაისი. 1996 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

- ნინო სალუქვაძემ კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა ატლანტაში
- უფროსებს ახსოვთ თბილისის „სპარტაკი“, ჩვენც გავიხსენოთ!
- ნანა ალექსანდრია — რეფორმატორი!
- 22 წლის ბიჭი — გატაკამსკი, ქალთა სქესთან ჯერჯერობით მწყრალადაა
- მიჰაელ შუმახერი: „მაქსიმუმი მე კი არა, მანქანას უნდა გამოსწუროს“
- ედგერგი შეიძლება არ წავიდეს
- ინფორმაციები, კროსვორდები, საჭადრაკო ამოცანა, იუმორი...

ფინალი 26 მაისს: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი)

ახლა მესამე ადგილი

სეული. როგორც ვიუწყებოდით, ნინო სალუქვაძემ დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია პნევმატური პისტოლეტის სროლაში მსოფლიო თასის პროგრამით აქ გამართულ შეჯიბრებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ მოეწყო მორიგი ეტაპის ასპარეზობა, უკვე სპორტული პისტოლეტის სროლაში. აქ ჩვენი თანამემამულე მესამე იყო —685,9 ქულა. პირველი ადგილი მოიპოვა სპორტული სამყაროსათვის სრულიად უცნობმა ბერძენმა კასუომიმ — 688,2, მეორე ადგილი კი ხვდა ბულგარელ მარია გროზდევას — 687,2.

საააგენტო „გუმათე“

გვახსოვდეს ჩემპიონები!

სამწუხაროდ, დღეს სპორტსმენებიც დაუცველნი არიან სოციალურად. არადა, ყველა ისინი, განსაკუთრებით კი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, მეტ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებენ. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს მათდამი გულგრილი დამოკიდებულება? ალბათ დიდხანს არა, რადგან...

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა „ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონთა სოციალური დაცვისა და უკვდავყოფის რესპუბლიკური საბჭო“-ს დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის სხდომა.

აღინიშნა, რომ ქართული სპორტის ვარსკვლავებს, დიდი ასპარეზიდან წასვლის შემდეგ, ივიწყებენ და მათი შემდგომი ბედი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთხელ, ნეკროლოგით თუ ეუწყება ქვეყანას. ვეტერანები მოკლებულნი არიან ჰუმანიტარულ თუ სხვა სახის დახმარებას. ბევრ მათგანს არ გააჩნია საარსებო საშუალების მინიმუმი...

სხდომაზე კონკრეტული საინიციატივო გეგმით წარსდგა მრავალდარგობრივი საქველმოქმედო სპორტული კლუბი „თორი“ (თავმჯდომარე პატარაია), რომელმაც განაცხადა, რომ ორგანიზაციას გაუწევს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა ბიუსტების დადგმას, სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ დახმარებებს.

ინიციატივას მხარი დაუჭირა არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვახტანგ დავითაიამ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თედორე გურგენიძემ, ჩვენმა სახელოვანმა ჩემპიონებმა დავით ციმაკურიძემ, ვახტანგ ბალავაძემ, რობერტ შავლაყაძემ, ზურაბ საკანდელიძემ, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა...

სხდომა შეაჯამა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა.

ახალარჩეული საბჭო თხოვნით მიმართავს ქართველ საზოგაოებას მხარი დაუჭიროს ამ პატრიოტულ წამოწყებას. გამოცხადდა საბანკო რეკვიზიტები: მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკი. მფო 521620 სპორტული კლუბი „თორი“. ანგარიში №100609042.

საბჭოს შემდეგი სხდომა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში 22 მაისს გაიმართება.

ვაჟა ნუცუბიძე

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონია, „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგას გამოეთხოვა

„მანჩესტერ სიტიმ“, სადაც ჩვენი ლეგიონერი გიორგი ქინქლაძე თამაშობს, ვერ გაამართლა თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის იმედები. მატჩი „ლივერპულთან“, რომლის შედეგი საბოლოოდ გადაწყვეტდა „სიტის“ ბედს, გასულ კვირას მანჩესტერელთა „მარცხით“ დამთავრდა 2-2. ამრიგად, იგი ინგლისის ჩემპიონატის პრემიერლიგაში ვეღარ ითამაშებს და ყველაფერი სამომავლოდ გადაიდო.

რა ბედი ეწევა გიორგი ქინქლაძეს? როგორც ცნობილია, საფეხბურთო ევროპა გულმოდგინედ და ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს მის თამაშს. ბევრი კლუბი — „მილანი“, „ინტერი“ (იტალია), „ბარსელონა“ კარგა ხანია დაინტერესებულია ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრით. თუმცა ახლანდელ კლუბთან ქინქლაძეს სამწლიანი კონტრაქტი აქვს, იგი მაინც არ აპირებს დარჩენას „სიტიში“, რადგან მტკიცედ გადაწყვიტა არ ითამაშოს ინგლისის დაბალ ლიგაში, სადაც ახლა გადაინაცვლა მისმა გუნდმა. ცხადია, საბოლოოდ ყველაფერი გადაწყდება ჩვენი ფეხბურთელისა და კლუბის ურთიერთშეთანხმებით.

ჩეხები — მერვედ!

მერვედ, მაგრამ 1985 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს ჩეხებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჰოკეიში. ფინალში, რომელიც დრამატულად წარიმართა, მათ ანგარიშით 4:2 სძლიეს კანადელებს. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში რუსეთის გუნდი დამარცხდა აშშ-ს ნაკრებთან.

ჩემპიონატი გაიმართა ვენაში.



„მარგვეთი“ — „დინამო“ (ბთ) — 1-2

ზესტაფონი. „მეტალურგის“ სტადიონი. 5 მაისი

„მარგვეთი“: გვენცაძე, უკლება, გურიელიძე, გაბრიჭიძე, გეწაძე, მორგოშია, კაკუბავა, ქებაძე, წიკლაური (ლანჩავა, 69), კიკნაძე (ჩხეტია, 46), ენდელაძე.

„დინამო“: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, ტულუში, მაჭუტაძე (მ. მახარაძე, 63), ღლონტი, უჯმაჯურიძე, მუჯირი.

გოლები: მუჯირი (58), ტულუში (68), ენდელაძე (82).

მსაჯი თ. ლაცაბიძე (სურამი).

გააფრთხილეს: ღლონტი, უკლება, გაბრიჭიძე, ტოგონიძე, უჯმაჯურიძე.

ამ მატჩს დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. სტადიონის ტრიბუნები თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შეივსო. „მარგვეთს“ ბათუმში 0:1 ჰქონდა წაგებული და ზესტაფონელი გულშემატკივრები იმ იმედით იყვნენ, რომ მათი გუნდი შეძლებდა სასურველი შედეგის მიღწევას.

დასაწყისშივე სტუმრებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და მუჯირმა ძლიერად დაარტყა კარისაკენ. მაგრამ ბურთი ოდნავ ასცილა მიზანს. „დინამოს“ კართან კი პირველი საგოლე მომენტი მე-17 წუთზე შეიქმნა, როდესაც ენდელაძემ თავზე გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ ტოგონიძეს.

მართალია, მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ სათამაშო უპირატესობა მაინც ბათუმელთა მხარეს იყო.

ბათუმელებმა პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ დააგვირგვინეს. მეტოქის კარის აღების კარგი შანსი ვერ გამოიყენა აგრეთვე ზესტაფონელთა ვეტერანმა კიკნაძემ.

მეორე ტაიმში ბათუმელთა უპირატესობა უფრო აშკარა გახდა. „მარგვეთის“ კარისკენ საჯარიმო მუჯირმა არც თუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ გვენცაძემ ვერ დაიმორჩილა ბურთი და ანგარიშიც გაიხსნა. ათი წუთის შემდეგ ბათუმელებმა მეორედ აიღეს მასპინძელთა კარი. მ. მახარაძე — უჯმაჯურიძე — ტულუშის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა. ამის შემდეგ თამაშმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ბათუმელებმა მთლად „დაუმალეს“ ბურთი მასპინძლებს. ერთადერთი საპასუხო ბურთი ენდელაძემ თავური დარტყმით ისე გაიტანა, რომ მისთვის ხელი არავის შეუშლია. შეხვედრის შედეგი სავსებით ლოგიკური იყო. როგორც შარშან, წლეულსაც ბათუმელები თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ.

იუზა კაციტაძე

„ლელოს“ სპეც. კორ.

ზესტაფონი

ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები

„დინამო“ — „სამტრედია“ 3-0

„დინამო“ (თბილისი): ზოიძე, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი (დემეტრაძე 72), ყიზილაშვილი (ინალიშვილი 80), კერძევაძე, ანჩაბაძე (ცქიტიშვილი 55), იაშვილი.

„სამტრედია“: დოლაბერიძე, ხვადაგიანი (რუხაძე 70), ლურსმანაშვილი, ჭელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია, დარასელია, ჩხაიძე.

მსაჯი: გუნთაძე (ლანჩხუთი).

გოლები: კიკნაძე (14), გოგიჩაიშვილი (62პ), დემეტრაძე (86). სულ წლევანდელ ჩემპიონატში „დინამომ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „კოლხეთი“, „მეტალურგი“ და „მარგვეთი“.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელთან „სამტრედიასთან“ კი შეხვედრა ადრეც და წლეულსაც დაძაბულად მიმდინარეობდა. ასე იყო სათასო მატჩშიც, ნახევარფინალის პირველ პაექრობაში, როცა სამტრედიელებმა შინ 1-1 ითამაშეს დინამოელებთან. ახლა, განმეორებითი მატჩის წინ, „დინამოს“ წარმატება არავის ეეჭვებოდა. მით უფრო „სამტრედია“ დღეს ნამდვილად აღარაა ის გუნდი, შარშან და იმის წინ ჩემპიონობისთვის რომ იბრძოდა, თუნდაც წლევანდელ სეზონში ერთხანს რომ იყო. „სამტრედია“ ძველებურად აღარ გამოიყურება და ეს შემადგენლობიდანაც ჩანს — თბილისში განმეორებით სათასო მატჩში გუნდი 12 ფეხბურთელით ჩამოვიდა, თანაც ყველა როდი იყო გამოჯანმრთელებული.

ამ განმეორებით, სათასო მატჩში, სტუმრებმა ვერ შეძლეს ღირსეული მეტოქეობა, ეპიზოდური გამოცოცხლება და თავგამოდება ისეთ გუნდთან, როგორიც „დინამოა“ საწადელს ვერ მიაღწევ. აი, მას შემდეგ, რაც ანგარიში გახდა 0-2, სამტრედიელებმა საბოლოოდ დაკარგეს ბრძოლისუნარიანობა, შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს, ბედს შეეგუენ და ფეხბურთელები სრულ დატვირთვას არიდებდნენ თავს. თუმცა, აღარც თბილისელებს გამოუვლენიათ ბრძოლის განსაკუთრებული ჟინი, ოღონდ ეგ იყო 72-ე წუთზე შეცვლაზე გამოსულმა დემეტრაძემ გამოიდო თავი და მანამ არ დაწყნარდა, სანამ გოლი არ გაიტანა.

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და სამტრედიის „სამტრედიის“ გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„ტორპედო“ — „ქიაფაზი“ 2-2

1990 წლიდან მოყოლებული ქუთაისის „ტორპედომ“ 2 მაისს თავისი პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა. ტორპედოელებმა აზერბაიჯანის შარშანდელ ჩემპიონს და წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს გიანჯის „ქიაფაზს“ უმასპინძლეს.

შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმრების უპირატესობით წარიმართა, სულეიმანოვმა კი ხელაძის კარში ბურთიც გაიტანა. შესვენების შემდეგ ქუთაისელები გააქტიურდნენ და მალე ანგარიშიც გათანაბრდა — გაჯიევმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. სტუმრებმა კიდევ ერთხელ შეძლეს დაწინაურება ახმედოვის გოლის წყალობით, მაგრამ ეს გოლიც გაიქვითა — თამაშის მიწურულს აშვეთიამ გამოიჩინა თავი 2-2.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებისათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ სულეიმანოვს და შეყრილაძეს.

იუზა კაციტაძე

ქუთაისი

მსაჯს ესროლეს... ქვეწარმავალი

გაიმართა ბულგარეთის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი გუნდები „სლავია“ და „ლევსკი“. გაიმარჯვა „სლავიამ“ — 1-0, მაგრამ მოხდა სერიოზული სკანდალი: მსაჯობით უკმაყოფილო მწვრთნელის განკარგულებით „ლევსკის“ ფეხბურთელებმა თამაშის 76-ე წუთზე დატოვეს მინდორი. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც უნდა იმსჯელოს მომხდარი ინციდენტის თაობაზე. „ლევსკის“, ეტყობა, დააჯარიმებენ, მით უმეტეს, რომ ამ გუნდის მიმართ კიდევ ერთი კონფლიქტური საქმეა განსახილველი — ცსკა-სთან მისი შეხვედრის შემდეგ (0-1) გუნდის განაწყენებულმა გულშემატკივრებმა მსაჯს ტრიბუნიდან ესროლეს ცოცხალი გველი, რომელიც ერთ-ერთმა პოლიციელმა ჯოხით მოკლა.

შემთხვევა, რა თქმა უნდა, უნიკალურია!

მირონ ბარამია ნებას რთავს

სატრეკო ველოსპორტში მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონატის ჩატარება დავალებული აქვს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კომისარს, ცნობილ ქართველ სპეციალისტს მირონ ბარამიას. შეჯიბრება გაიმართება წლეულს, აგვისტოს მანჩესტერში. ამ დღეებში ბარამიამ გააკეთა განცხადება ერთსაათიან რბოლაში მსოფლიოს ექსრეკორდსმენის ინგლისელი კრის ბორდმანის „საქმესთან“ დაკავშირებით.

მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილემ უნდა გაიაროს „შერჩევა“ მსოფლიოს თასზე. მაგრამ ბორდმენი, რომელიც ფრანგულ საგზატკეცილო ველოჯგუფის „განის“ ლიდერად ითვლება, არ ასპარეზობს მსოფლიოს თასზე, ვინაიდან თავის კოლექტივთან ერთად აქტიურად ემზადება „ტურ დე ფრანსისათვის“. სწორედ ამიტომ მირონ ბარამიამ გამონაკლისის სახით ნება დართო ინგლისელ ველოსიპედისტს გამოვიდეს მსოფლიო ჩემპიონატში „შერჩევის“ გარეშე.

მიჰაელ შუმახერი — ბედის ნებიერი

„ფორმულა-1“-ის პილოტები წარმოუდგენელ ფიზიკურ დატვირთვას განიცდიან, რაც, ბუნებრივია, დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. სპეციალისტების აზრით, მსგავსი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა არ არის დაფიქსირებული სპორტის არც ერთ სახეობაში. ზოგჯერ ანალოგიას აერონავტიკაში ეძებენ — ეს არის და ეს. 80-იანი წლების მიწურულს ამ პრობლემების შესწავლის მიზნით, საფრანგეთში, სპეციალურად შეიქმნა ბიომედიცინის კვლევის ინსტიტუტი სპორტის ჩქაროსნულ სახეობებში.

საათნახევარ-ორი საათის განმავლობაში, „გრან-პრის“ ყოველი რბოლა კი ზუსტად ამდენ ხანს გრძელდება, პილოტის ორგანიზმი უმწვავესი გამოცდის პროცესშია. „ფორმულა-1“-ის პილოტები მთელი რბოლის მანძილზე აჩქარებებისა და შენელებების ნწეხის ქვეშ იმყოფებიან. გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ შეჯიბრების დროს გულის დარტყმის სიხშირე წუთში საშუალოდ 140-ია, ცალკეულ შემთხვევებში კი 190. გულის პერმანენტული გადატვირთვა და ორგანიზმის სრული გამოფიტვა ამ შეჯიბრებათა პოპულარობის თავისებური საზღაურია, რომელიც ზოგჯერ, სამწუხაროდ, ტრაგიკულადაც კი მთავრდება.

ეს, რაც შეეხება „ფორმულა-1“-ის ემოციურად უარყოფით მხარეს: ახლა კი ამ ცნობილი რბოლის, ასე ვთქვათ, ბედის ნებიერზე, მიჰაელ შუმახერზე, რომლის პოპულარობას დღეს თითო-ოროლა სპორტსმენი თუ შეეცილება.

არც ერთ ახალგაზრდა გერმანელს არ დაუწყია კარიერა „ფორმულა-1“-ში ისე უხეიროდ, როგორც მიჰაელ შუმახერმა. ოთხი წლის იყო, როცა მამამ, პროფესიით ქვის მთლელმა როლფ შუმახერმა აუწყო მინი ავტომანქანა. მაგრამ უფროს შუმახერს ქრონიკულად აკლდა ფული. ამიტომ საბურავები ბავშვის მინი-კარტისთვის მანქანების სასაფლაოდან მოჰქონდა. მიჰაელი რომ ათი წლის გახდა, მამამ განუცხადა: „გართობა და დროსტარება მორჩა, საამისოდ ფული უკვე აღარა მაქვს“.

ყმაწვილს ოჯახის მეგობარი დაეხმარა. მან ფულიც აჩუქა პატარა მიჰაელს და კერპენში რბოლის ტრასაზეც მიიყვანა. ბავშვს არ განუცდია პატივმოყვარე მშობლების ზეწოლა — უსათუოდ დიდი სპორტსმენი უნდა გამოხვიდეო. ეს დიდი ბედნიერება იყო. ამან განსაზღვრა მისი სულიერი სიმშვიდე და ხასიათის გაწონასწორებულობა. შუმახერის შინაგანი მობილიზება დღესაც ანცვიფრებს მის მეტოქეებს.

პირველი სერიოზული წარმატება კარტინგში იზეიმა — მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის. მერე „ფორმულა-3“-ის ტრასაზე მოისურვა თავისი შესაძლებლობების გამოცდა. მაგრამ ეს განზრახვა რომ მოეყვანა სისრულეში, 500 მარკა უნდა შეეტანა ორგანიზატორთა სახელზე. მიჰაელმა თხოვნით მიმართა მამას, მაგრამ, ბუნებრივია, დასაბუთებული უარი მიიღო: „მე კვირაობით წელზე ფეხებს ვიდგამ, რომ როგორმე ზედმეტი ფული ვიშოვნო, შენ კი ნახევარ ათასს მთხოვ“!

ავტოსპორტში, სადაც შეძლებული მშობლები უყოყმანოდ აფინანსებენ შვილების ყველა პრეტენზიას, შუმახერი თავს, ცხადია, ობლად და უპატრონოდ გრძნობდა. ფინანსური მხარდამჭერის გარეშე, თავის თავთან მარტოდმარტო დარჩენილი ახალგაზრდა კაცი საკვალიფიკაციო რბოლას ვერ სცდებოდა. 17 წლის მიჰაელმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ „ფორმულა-1“-თან არაფერი ესაქმებოდა. ეს მისთვის აკრძალული ხილი, ზედმეტი ფუფუნება აღმოჩნდა.

ფულის სესხად აღება მის პრინციპებს არ ეთანხმებოდა. მან ბავშვობაში ისწავლა ასეთი არითმეტიკა: „დახარჯე იმდენი, რამდენიც გაქვს, სხვების დაუხმარებლად“. და მაინც, მისი კარიერა შედგა. შტუტგარტელმა მრეწველმა და საქმოსანმა ახალგაზრდა ყმაწვილში შეამჩნია სხვებისთვის უცნობი ნიჭი და მონდომება. ეს საქმოსანი ვილჰელმ ვებერი იყო, რომელმაც ყველასათვის უცნობი ავტომობილისტი თავის გუნდში („ფორმულა-3“) ჩარიცხა. სამაგიეროდ, პირობა ჩამოართვა, რომ 10 წლის მანძილზე მისი მენეჯერი იქნებოდა.

მერე შემთხვევაც დაეხმარა. ის-ის იყო პირველ სეზონს ამთავრებდა „ფორმულა-3“-ში, რომ „მერსედესის“ ფირმის ავტოსპორტის განყოფილების გამგის ნერპაშის ყურადღება მიიპყრო, რომელიც ამ დროს იუნიორთა მსოფლიო პირველობისთვის გუნდს ადგენდა. 20 წლის მიჰაელი შტატიან პილოტად მიიღეს „დაიმლერ-ბენცში“.

სამი იუნიორის (შუმახერი, ფრენცენი და ავსტრიელი ვენდლინგერი) მზადებას კონცერნი ისეთი გულისყურით გეგმავდა, როგორც გენერალური შტაბი გეგმავს ხოლმე დიდ შეტევას. თითოეულმა პილოტმა მზადების პერიოდში დაახლოებით 5 ათასი კილომეტრი გაიარა გამოსაცდელ პოლიგონზე. ფირმის ინჟინრები ყველაფერს დეტალურად ასწავლიდნენ — მართვის საიდუმლოებასაც და... საბურავების გამოცვლასაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კონცერნი სპორსტმენის გარეგნობას, თავდაჭერასა და მანერებს. ყველაფერ ამას ყურადღებას სპორტის სხვა სახეობებშიც აქცევენ, მაგრამ საავტომობილო მრეწველობაში მაინც გამორჩეული მიდგომა იყო. „მერსედესი“, მაგალითად, არასდროს არ მიიწვევს ისეთი ექსტრავაგანტური გარეგნობის სპორტსმენს, როგორიც ანდრე აგასია. კონცერნის იმიჯს უფრო შეშვენის ახალგაზრდა კაცი ნიუიორკელი ბროკერის გარეგნობით.

როგორც ნერპაში ყვებოდა ხოლმე, შუმახერი ერთობ ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. დღეს მიჰაელი თავის საყვარელ რეინის დიალექტზე საუბრობს მხოლოდ მშობლებთან, თანაც თუ შინ არ არიან სტუმრები. მან უშეცდომო ინგლისური იცის. ყოველ ტელეინტერვიუს რამდენიმეჯერ ამოწმებს, რათა კიდევ უფრო დახვეწოს და გამოკვეთოს ინტონაციები.

შუმახერმა სისხლხორცეულად შეითვისა თანამედროვე ავტოსპორტში მოქმედი წესები. და, როგორც თავად ამბობს, ამას თავისი პიროვნების რაღაც ნაწილი შესწირა. ერთხელ ნაიჯელ მენსელმა მკაცრად გააკრიტიკა თავისი გუნდი და ფირმა რაღაც, მისი აზრით, დაშვებული შეცდომებისათვის. შუმახერმა ინგლისელის ეს გამოხდომა ულირს საქციელად მიიჩნია. მაგრამ არც ის არის სწორი ვიფიქროთ, რომ შუმახერს გადაწყვეტილი აქვს უსახო და შეუმჩნეველი დარჩეს მუდამ. იგი, ერთ დროს, აღფრთოვანებული იყო თავისი 45 წლის კოლეგით იოჰენ მასით, რომელიც ავტომობილისტთა შორის განთქმული იყო ბილწი სიტყვებითა და იუმორით.

ავტოსამყარო განაცვიფრა ახალგაზრდა მრბოლის პირველმა წარმატებებმა „ფორმულა-1“-ში. ზოგიერთებმა მას ვუნდერკინდიც კი უწოდეს, რასაც შუმახერის ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. მისი აღიარებით, და ამას ძნელია არ დაეთანხმო, საავტომობილო სპორტში ერთი რამ არის მთავარი: განავითარო მაქსიმალური სისწრაფე და რაც შეიძლება ჩქარა გაიარო დისტანცია. შუმახერს არ ესმის იმ კოლეგების, რომლებიც „მაქსიმუმს სწურავენ თავის შესაძლებლობებს“. მაქსიმუმი მე კი არა, მანქანას უნდა გამოსწურო, — ამბობს ხოლმე ხშირად და ამაშიც მართალია.

მიჰაელ შუმახერი — ედი ირვინი (მარჯვნივ)

ნერპაში ერთ დროს მას „ახალგაზრდა აირტონ სენას“ ეძახდა. მაშინ შუმახერის შესახებ არ თხზავდნენ ანეკდოტებს. ეს კი არა, საჯარო გამოსვლებშიც თავშეკავებულად საუბრობდა. მაშინ იგი არავის ანდობდა თავის საიდუმლოს. საზოგადოებრიობამ მოგვიანებით გაიგო მისი ცხოვრების მთავარი ნატვრა, რომელიც ჯერ კიდევ სულ ყმაწვილმა ასე ჩამოაყალიბა: „მე უსათუოდ გავხდები გერმანელებს შორის პირველი ჩემპიონი „ფორმულა-1“-ში“.

ცხოვრებაში მოკრძალებული ახალგაზრდა, ტრასაზე ემოციური და „მიმწოლი“ ხდება. ერთხელ, მაშინ ჩემპიონობაზე ოცნებობდა მხოლოდ, ალენ პროსტს, რომელმაც მოურიდებლად გადაუსწრო ტრასაზე, თითი დაუქნია გაბრაზების ნიშნად. მეორედ კი, ეს მოხდა ბარსელონაში, ახალგაზრდა გერმანელმა აღნიშნა, რომ აირტონ სენა ლეგენდა კი არა, ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ადრე თუ გვიან უსათუოდ დაამარცხებს...

დებიუტანტი

მაკა ჩახნაშვილი

(ჩოგბურთი)

დაიბადა თბილისში 1982 წლის 12 დეკემბერს

სპორტსაზოგადოება „მართვე“

სიმაღლე 179 სმ, წონა 50 კგ

ჩოგბურთში მეცადინეობს 1988 წლიდან

საქართველოს ნაკრების წევრი, მოსწავლე

გატაცება: ჩოგბურთი, მუსიკა

მწვრთნელი გურამ თოხაძე

პირველი წარმატება: 8 წლისა თავის ასაკში გახდა საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს ზამთრის პირველობაში გამარჯვებული (1996 წ.)

ახლახან მაკა ჩახნაშვილმა წარმატებით იასპარეზა უკრაინის ქალაქებში (სუდავა, სიმფეროპოლი) გამართულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატში (14-16 წლამდე ასაკი). აქ მან ყველა მეტოქე დაჯაბნა და ჩემპიონობა გაინაღდა. წყვილთა ტურნირში (ჩახნაშვილი — ზედგენიძე) ჩვენი გოგონები IV ადგილზე გავიდნენ.

მაკა ჩახნაშვილმა, როგორც ჩემპიონმა, უფლება მოიპოვა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხარჯებით მომავალში კიდევ ხუთ ტურნირში იასპარეზოს.

ჯემალ მახარაძე

ეს რკინის გორანი...

მსოფლიოს გამორჩეულ ჩოგბურთელთა შარშანდელი ქულები რომ უგულვებელვყოთ და მხოლოდ წლევანდელ შედეგებს მოვუხმოთ, წინ გორან ივანიშევიჩი გამოიჭიმება: მან უკვე ოთხჯერ მოიპოვა გამარჯვებულის ტიტული. ერთ-ერთი ტურნირის მოგების შემდეგ გორანმა ინტერვიუ მისცა „პროფისპორტს“, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ „მონოლოგის“ სახით:

— შარშან შემოდგომაზე ინტენსიურად ვვარჯიშობდი, კორტზე და სატრენაჟორო დარბაზში ყოველდღიურად 5-5 საათს ვატარებდი, შეჯიბრებებზე კი არაფერი გამომდიოდა. კარგი თამაშის ყველა კომპონენტი თითქოს ხელთ მეპყრა, მაგრამ საერთო გამარჯვებად ვერა და ვერ ავაწყე... წლეულს კიდევ უფრო დავიტვირთე თავი და ეს სეზონი შეიძლება საუკეთესოც გამოდგეს ჩემს სპორტულ ცხოვრებაში; უკვე დავამტკიცე, რომ ზედიზედ რამდენიმე კვირას შემიძლია სტაბილური თამაში ვაჩვენო. ახლა ეს დონე მთელი წლის მანძილზე უნდა შევინარჩუნო... ჩემს მშობლიურ სპლიტში სხვანაირი ხალხია. იქ რომ ჩავდივარ, ჩემსკენ არც კი იხედებიან; თუ ვიგებ, რეაქცია ასეთია: „აა, მოიგო? დიდი ამბავი!“ თუ ვაგებ, არც ეს უკვირთ: „მე ხომ გითხარი, წააგებს-მეთქი“. ჩვენი ქალაქიდან, რომლის მოსახლეობა სულ 250 ათასი კაცია, მრავალი ცნობილი სპორტსმენი გამოვიდა — ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სამი ვარსკვლავი, არაერთი კარგი ფეხბურთელი და ჩოგბურთელი. ავსტრალიაში, სადაც დიდი ხორვატული თემი ცხოვრობს, გაცილებით თბილად მხვდებიან... ჩემი ქვეყანა რთულ სიტუაციაშია მოქცეული, ჩვენთან ომია. მე ბლომად ვაკეთებ ფულს და მინდა, რომ ჩემი ხალხიც, განსაკუთრებით ბავშვები, კარგად ცხოვრობდეს; ამიტომაც დავაარსე „ივანიშევიჩის ფონდი გაჭირვებული ბავშვებისათვის“.

ხუთი რგოლის გარშემო

● ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ დააკავა ერთ-ერთი ექსტრემისტული ჯგუფის ორი წევრი, რომლებსაც აღმოუჩინეს ჯორჯიას შტატის ბოევიკების მიერ დამზადებული ორი საკმაოდ ძლიერი ყუმბარა. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ოლიმპიური თამაშების დღეებში ისინი არავითარი აქციების მოწყობას არ აპირებდნენ. ექსტრემისტები დააპატიმრეს ნოკსვილის რაიონში, ატლანტიდან 125 კილომეტრის მოშორებით.

● ოლიმპიური ჩირაღდნის „ჩამოსვლას“ ამერიკის ტერიტორიაზე, საზეიმოდ შეხვდა მთელი ლოს-ანჯელესი. აეროპორტიდან ცეცხლიანი კაპსულა შვეულმფრენებით „კოლიზეუმის“ სტადიონზე მიიტანეს. სადღესასწაულო ცერემონიალის შემდეგ ჩირაღდანმა დაიწყო 84-დღიანი მოგზაურობა, რომლის ფინიში შედგება ატლანტაში.

კომენეჩი გათხოვდა, მინისტრები — მაყარში!

ცნობილი რუმინელი ტანმოვარჯიშე ნადია კომენეჩი, რომელიც 1989 წელს გაიქცა თავისი ქვეყნიდან და მას შემდეგ აშშ-ში ცხოვრობს, ამ დღეებში გათხოვდა. ბუქარესტის ქორწინების სასახლეში მან ხელი მოაწერა ამერიკელ ტანმოვარჯიშესთან ბარტ კონერთან. ისინი ამჟამად მუშაობენ ერთ-ერთ ამერიკულ ტანვარჯიშულ სკოლაში, გამოდიან სპორტულ სანახაობებში, ცნობილი ფირმების პროდუქციას რეკლამას უწევენ. ჯვრისწერას ბუქარესტში ესწრებოდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტეოდორ მელეშკანუ. შემდეგ ახალდაქორწინებულები მიიღო პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ. საზეიმო ვახშამი გაიმართა ჩაუშესკუს ერთ-ერთ რეზიდენციაში. მას რამდენიმე ათასი სტუმარი დაესწრო.

ეს რამ მოგაფიქრებინა, პოლიციელო!

საბერძნეთის სტადიონებზე მასობრივი ხასიათი მიიღო ხურდა ფულის სროლამ. ვინაიდან ბერძნული მონეტა საკმაოდ მძიმეა, ამ ხულიგნური აქციის შედეგად არაერთი სპორტსმენი და მაყურებელი დასახიჩრდა. ათენის პოლიციის ერთ-ერთმა მაღალმა ჩინმა საკმაოდ ორიგინალურ ხერხს მიაგნო ამ სკანდალური სიტუაციის განმუხტვის მიზნით. ათენის ოლიმპიურ სტადიონზე და სხვა სპორტულ ბაზებზე დაიდგა სპეციალური ყუთები წარწერებით, რომლებიც მოუწოდებენ გამვლელებს დაეხმარონ ინვალიდ სპორტსმენებს. ეშმაკობამ გაჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ ათენის ოლიმპიური სტადიონის პოლიციის განყოფილების უფროსმა გეორგოს იანადაკისმა ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოს გადასცა ხურდა ფულით სავსე პირველი ყუთი, რომელიც მილიონ დრაჰმს შეადგენდა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ

მნიშვნელოვან შეჯიბრებათა ტელეტრანსლაციის უფლება მიჰყიდა „ევროპის ტელეხედვის კავშირს“ 162,7 მილიონ დოლარად (6-წლიანი ხელშეკრულების საფუძველზე). ეს ორგანიზაცია მოემსახურება 1997, 1999 და 2001 წლების მსოფლიო ჩემპიონატებს, 1998 წლის მსოფლიო თასს, „გრან-პრის“ სხვადასხვა ტურნირებს. „ევროპის ტელეხედვის კავშირს“ ნაყიდი აქვს აგრეთვე 2000, 04 და 08 წლების ოლიმპიადებისა და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლება.

მოამზადა
თამაზ ეგანოიძე.

შეხვედრა წარსულთან

ჩვენი სიყრმის საყვარელი გუნდი თბილისის „სპარტაკი“

შეგიძლიათ თუ არა, თქვენ, ძვირფასო მკითხველო, წარმოიდგინოთ ასეთი სიტუაცია: თბილისის „დინამო“ თბილისში (!) ატარებს კალენდარულ შეხვედრას საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში და ამ დროს მაყურებელთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს და გულშემატკივრობს არა მშობლიურ „დინამოს“, არამედ მის მეტოქეს?

სრულიად წარმოუდგენელია, არა? მაგრამ სწორედ ასეთი წარმოუდგენელი შემთხვევის მოწმენი გახდნენ ისინი, ვინც შემოდგომის ამ მზიან დღეს (1950 წ. 5 სექტემბერს) მისულიყვნენ სტადიონზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი — თბილისის „დინამო“ და — თბილისის „სპარტაკის“ ახალბედა გუნდი.

მიზეზი ამ, ერთის შეხედვით, პარადოქსული სიტუაციისა კი ის გახლდათ, რომ მანამდე, ძალიან მოკლე დროის მანძილზე, „სპარტაკმა“ თავისი არაჩვეულებრივად ხალისიანი, „მხიარული“ და, ამავე დროს, აზარტული, თავდადებული თამაშით მაყურებელთა მხურვალე სიმპათიები და სიყვარული მოიპოვა. თანაც თავისი ძალზე დინამიკური სათამაშო სტილით, რომელიც აგებული იყო სწრაფ პასებზე, ადგილების შენაცვლებასა და მკაცრ სათამაშო დისციპლინაზე, იგი სავსებით კონტრასტული იყო ქართული ფეხბურთის (კერძოდ, „დინამოს“) ტრადიციული სტილისადმი, მისთვის დამახასიათებელი დრიბლინგის კულტით, დახვეწილი ტექნიკურობით, იმპროვიზაციულობისა და ინდივიდუალური თამაშისადმი მიდრეკილებით.

ყოველივე ეს კი მაყურებელთა ინტერესის გაღვივებისა და სტიმულირების დამატებით ფაქტორს წარმოადგენდა.

„სპარტაკმა“ სულ 2 სეზონი ითამაშა უმაღლეს ლიგაში (1950-1951), მეტეორივით გაიელვა და ჰორიზონტს მიეფარა. ახლა, როდესაც თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მის შემდეგ, მხოლოდ ნოსტალგიური გრძნობებით შეპყრობილი უფროსი თაობის გულშემატკივრები თუ იგონებენ ხოლმე ქართული ფეხბურთის ისტორიის ამ მოკლე, მაგრამ ძალზე კოლორიტულ და ნათელ ხანას.

„სპარტაკის“ შესახებ არ არსებობს ცალკე ბროშურა თუ ცნობარი, შეუსწავლელია გუნდის სატურნირო სტატისტიკა, სდუმს მის შესახებ საბჭოთა ფეხბურთის ყველაზე ფუნდამენტური ცნობარიც „Все о футболе“ (М. 1972). თითქოს არც ყოფილაო ასეთი გუნდი!

რაღა გვრჩება? — მხოლოდ იმდროინდელი სპორტული პრესა (ძირითადად „ლელო“) და... თვითმხილველთა მოგონებები. შემიძლია ვთქვა, რომ არ გამიცდენია „სპარტაკის“ მიერ თბილისში ჩატარებული თითქმის არც ერთი მატჩი, არც რადიორეპორტაჟები სხვა ქალაქებიდან და ჯერჯერობით, მეხსიერებასაც არ ვუჩივი, შევეცადე შეძლებისდაგვარად აღმედგინა მის მიერ უმაღლეს ლიგაში (პირველ ყოვლისა, ცხადია, საკუთარ მინდორზე) ჩატარებული 64 მატჩის პერიპეტიები, დამედგინა გოლების სტატისტიკა, რაც, იმედია, საქმეს გაუადვილებს ქართული ფეხბურთის მომავალ ისტორიკოსებს.

ამ ნარკვევს ვუძღვნი ჩვენი სიყრმის საყვარელ გუნდს — თბილისის „სპარტაკს“, რომელმაც ამდენი სიხარული (ზოგჯერ სინანულიც) მოგვანიჭა თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე და დაგვიტოვა დაუვიწყარი მოგონებები; ცხოვრებიდან წასული მისი მოთამაშეებისა და მწვრთნელის — ლეგენდარული ანდრო ჟორდანიას ხსოვნას, ძველი თაობის გულშემატკივრებს, რომელთა მხურვალე მხარდაჭერა და ქომაგობა ძალას ჰმატებდა და ახალისებდა „სპარტაკის“ ახალგაზრდულ კოლექტივს.

ვიდრე უშუალოდ „სპარტაკის“ შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, მოკლედ შევეხოთ საქართველოს (უფრო სწორად, თბილისის) „მეორე გუნდების“ სპორტულ ტრადიციას.

დღიდან საბჭოთა კავშირის პირველობის დაწყებისა (1936 წ.), ასეთ გუნდად გვევლინებოდა თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც 2 წლის მანძილზე გამოდიოდა მე-3 ეშელონში (ე.წ. „ვ“ კლასი), მართალია, წარუმატებლად, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელთა კადრებით ამარაგებდა „დინამოს“. საკმარისია ითქვას, რომ მათ შორის იყო ბრწყინვალე ფორვარდი, გაიოზ ჯეჯელავა.

1938 წელს ქვეყნის 26 უძლიერეს გუნდს შორის, რომელთაც გაითამაშეს სსრკ პირველობა, აღმოჩნდა „ლოკომოტივიც“, სამწუხაროდ, მან მხოლოდ 24-ე ადგილი დაიკავა და „ბ“ კლასში გადავარდა.

1939 წლის ჩემპიონატი „ბ“ კლასში ძალზე საინტერესოდ წარიმართა. „ლოკომოტივმა“ მეორე ადგილი მოიპოვა (23 გუნდში) და თანაც დაამარცხა I ადგილზე გასული მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“ (სხვათა შორის, ამ გათამაშებაში მონაწილეობდა ბათუმის „დინამოც“, რომელმაც ზუსტად ცხრილის შუაში დაიკავა ადგილი).

მომდევნო — 1940 წლის პირველობაში „ლოკომოტივის“ გამოსვლა „ა“ კლასში კარგს არაფერს უქადდა გუნდს, რომლის 2 უძლიერესი მოთამაშე — ვ. პანიუკოვი და ი. ჩერედნიჩენკო „დინამოში“ გადაიყვანეს.

ასეც მოხდა. მე-2 წრის დასაწყისისათვის გუნდი ბოლო ადგილზე იყო, მაგრამ ამის გულისათვის მისი მოხსნა გათამაშებიდან, რაც სსრკ სპორტკომიტეტის „უზენაესი“ დადგენილებით მოხდა, სამუდამოდ დარჩა უსამართლობისა და განუკითხაობის ნიმუშად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

ამის შემდეგ თბილისის „მეორე გუნდის“ როლი იკისრა და ღირსეულად ატარა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა (1943-1960), რომელიც უკვე 1946 წლისათვის ისე გაძლიერდა, რომ იმ შემოდგომაზე ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხა (1:0) საბჭოთა კავშირის ნაკრები (!) და შემდგომაც არაერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში.

1959 წლიდან ქართულ ფეხბურთს საკავშირო ასპარეზზე ღირსეულად წარმოადგენდა ქუთაისის „ტორპედო“.

1948 წელს ფეხბურთის მოყვარულებმა პირველად გავიგონეთ თბილისის „სპარტაკის“ სახელი და ისიც უფრო იმის წყალობით, რომ მას სათავეში ჩაუდგა უმუშევრად დარჩენილი (?!) ჩვენი შესანიშნავი მწვრთნელი, სწორუპოვარი სელექციონერი — ანდრო ჟორდანია, რომელსაც ნამდვილი ჯადოსანივით ხელეწიფებოდა სავსებით უცნობი ახალგაზრდა ბიჭებისაგან ძლიერი, მონოლითური კოლექტივების შექმნა.

ასე მოხდა ამჯერადაც. 1948 წ. ახლად შექმნილი გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა და მომდევნო წელს სსრკ პირველობაზე („ბ“ კლასში) მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

სურათზე: ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „სპარტაკის“ მატჩი 1950 წელს. მარცხნიდან აკაკი ხურციძე, ნიკოლოზ გაგნიძე და მეკარე გივი იოსელიანი მასპინძელთა თავდამსხმელთან ბრძოლაში. ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

„ბ“ კლასის ასამდე გუნდი 7 ზონად იყო დაყოფილი, რომელთა გამარჯვებული გუნდების ფინალურ შეჯიბრებაში უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ გადავიდოდა მომავალ წელს „ა“ კლასში.

„სპარტაკი“ მეორე ჯგუფში მოხვდა, სადაც 14 გუნდს შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე თბილისის ოფიცერთა სახლისა და ქუთაისის „დინამოს“ გუნდები (გუნდები 2-2-ჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს).

დაიწყო 1949 წლის სეზონი და დაიწყო „სპარტაკის“ გამარჯვებათა არნახული, უმაგალითო სერია: 20 შეხვედრა — 20 გამარჯვება!

ვინ იყვნენ ეს საფეხბურთო რაინდები, რომლებმაც მწვრთნელ-ჯადოქრის — ა. ჟორდანიას მეთაურობით ასეთ ფანტასტიკურ, დღემდე განუმეორებელ შედეგს მიაღწიეს?

აი, მათი სახელები: მეკარეები — გ. იოსელიანი და მ. პირაევი, მცველები — ი. კატანოვი, რ. ოსაძე, ი. შუდრა, ზ. ქვარიანი; ნახევარმცველები და თავდამსხმელები — მ. გამყრელიძე, ა. კილაძე, ძმები ნ. და კ. გაგნიძეები. ვ. გვარამაძე, ძმები ი. და ა. ბურჭულაძეები, თ. გუგუნავა, ტ. ეპიტაშვილი, ა. პაიჭაძე, ვ. ლომაია (კაპიტანი), სულ 18 — მოთამაშე.

უმრავლესობა მათგანის სახელები არაფერს ეუბნებოდა ფართო მაყურებელს. ვიცოდით მხოლოდ, რომ გივი იოსელიანი (ყველაზე უფროსი მათ შორის) ჯერ კიდევ ომამდე თამაშობდა „დინამოში“ (სათადარიგო მეკარედ), ხოლო ავთანდილ პაიჭაძე და ივანე შუდრა — დიდი ბორის პაიჭაძისა და ცნობილი მეკარის სერგო შუდრას უმცროსი ძმები იყვნენ.

საგულისხმოა, რომ მომდევნო წლებში მთელი ამ შემადგენლობიდან დიდი საფეხბურთო ცხოვრება „ა“ კლასში მხოლოდ მიხეილ პირაევმა, არჩილ კილაძემ და კარლო გაგნიძემ დაიმკვიდრეს, მაგრამ ამ „ჩვეულებრივი“ ბიჭებისაგან საკვირველმა ანდრო ჟორდანიამ გამოჭედა მონოლითივით შეკრული შესანიშნავი კოლექტივი, რომელსაც უკვე მომდევნო წელს „ჩემპიონთა რისხვა“ შეარქვეს.

თავისი ტრიუმფული სვლა „სპარტაკმა“ ოდნავ შეანელა მხოლოდ ფინიშის სწორზე, როდესაც უკონკურენციოდ გაინაღდა პირველი ადგილი. ერთადერთი დამარცხება (2:3) მან ქუთაისის „დინამოსთან“ განიცადა (მეორე შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2).

საბოლოო შედეგი მართლაც რომ დიდებული იყო: 47 ქულა 52 შესაძლებლიდან (+22,-1,=3), ბურთების საუკეთესო შეფარდებით 60:18.

მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის „დინამო“ (40 ქულა), რაც გუნდის დიდ მიღწევას წარმოადგენდა, ხოლო მესამეზე — ვილნიუსის „სპარტაკი“.

მაგრამ მთავარი გამოცდა ჯერ კიდევ წინ იყო. ოქტომბრის დასაწყისში დონის როსტოვში თავი მოიყარეს ქვეჯგუფებში გამარჯვებულმა გუნდებმა (7).

ჩამოვთვალოთ ისინი, რათა ნათელი გახდეს, რა მძიმე ამოცანის წინაშე დადგნენ ჩვენი ბიჭები: როსტოვის „დინამო“, ლვოვის „სპარტაკი“, ოდესის „პიშჩევიკი“, კალინინგრადისა (მოსკოვის ოლქი) და ლენინგრადის გუნდები, სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლი. თითქმის ყველა მათგანი სხვადასხვა დროს და საკმაო წარმატებითაც, გამოდიოდა „ა“ კლასში.

მოუთმენლად ველოდით ამ უმძიმესი შეჯიბრების დაწყებას და ჰა, — მივიღეთ პირველი გამამხნევებელი ცნობებიც: გამარჯვება ლვოვის „სპარტაკთან“ 1:0 (ბურთი გაიტანა გუნდის მთავარმა ბომბარდირმა ავთანდილ პაიჭაძემ), ფრე (0:0) ოდესის „პიშჩევიკთან“, კვლავ გამარჯვება 4:0 ლენინგრადელებთან (ა. პაიჭაძე — 2, კ. გაგნიძე, მ. გამყრელიძე).

შემდეგი თამაშის ბედი კალინინგრადის გუნდთან ჩვენს კარში უსამართლოდ დანიშნულმა 11-მეტრიანმა გადაწყვიტა (0:1), რასაც კვლავ მოგება მოჰყვა სვერდლოვსკის გუნდთან — 2:0 (მ. გამყრელიძე, ა. პაიჭაძე).

ბოლო შეხვედრაში — მასპინძლებთან (როსტოვის „დინამო“) ფრეც გვყოფნიდა პირველი ადგილის გასანაღდებლად, მაგრამ თამაში წავაგეთ 1:2 (ბურთი კვლავ ა. პაიჭაძემ გაიტანა).

საბოლოო შედეგით: 6 თამაშიდან 7 ქულა „სპარტაკმა“ I-II-III ადგილები გაიყო ოდესისა და კალინინგრადის გუნდებთან. დაინიშნა დამატებითი მატჩები, რომელთაც სამართლიანად უწოდეს „ფინალის ფინალი“. თანაც, თამაშები სულ ერთდღიანი პაუზებით იმართებოდა.

ამასობაში გავიდა ჩვენი მღელვარების თითქმის მთელი თვე, რომლის განმავლობაშიც არ ვშორდებოდით რადიორეპროდუქტორებს.

28 ოქტომბერს ჩვენი ბიჭები პირველ დამატებით მატჩში ოდესის გუნდთან პირისპირ დადგნენ. პირველი ბურთი ჩვენს კარში გავიდა, მაგრამ პაიჭაძისა (კვლავ და კვლავ!) და თ. გუგუნავას ბურთებმა თბილისელებს მოუტანა გამარჯვება (2:1) ამ ძალზე მძაფრად წარმართულ ბრძოლაში.

ერთი დღის შემდეგ კი, 30 ოქტომბერს, შეხვედრა ძალიან ძლიერ, თანაც კარგად დასვენებულ კალინინგრადის გუნდთან შედგა. დიდი მღელვარებითა და შეშფოთებით ველოდით ამ მატჩს, რომელიც, მართლაც არაჩვეულებრივად დაძაბულად, თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. სიტუაციის დრამატიზმს აძლიერებდა გრიგალისებური ქარი, რომელიც იმ დღეს როსტოვში ქროდა.

პირველ ტაიმში ქარი ჩვენი მოწინააღმდეგის მოკავშირე იყო და თამაში თითქმის მთლად „სპარტაკის“ საჯარო მოედნის სიახლოვეს მიმდინარეობდა. თავდადებით მოქმედებდა გუნდის ყველა წევრი, მ. პირაევმა კი მეკარის უმაღლესი ოსტატობა გამოავლინა და უნებელჰყო მოწინააღმდეგისა და... ქარის მიერ კარში გაგზავნილი უძნელესი ბურთები.

მეორე ნახევრისათვის ქარი რამდენადმე დაცხრა და ისეთ გავლენას ველარ ახდენდა თამაშის მსვლელობაზე. „დახეთ, ბუნებაც დღეს ჩვენს წინააღმდეგაა“ — შემოგვჩივლა რადიომსმენელებს ეროსი მანჯგალაძემ.

ასეა თუ ისე, მეორე ნახევარში თამაში მაინც ჩვენი დიდი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში დიდხანს უცვლელი რჩებოდა. და, აი, მატჩის მიწურულს — 78-ე წუთზე მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო ვალერიან ლომაიამ (ახლობლები მას ძიუს ეძახდნენ), ოდნავ წაიწია წინ და უძლიერესი დარტყმით 40 მეტრის მანძილიდან ბურთი კარისკენ გაგზავნა. ვერ მოასწრო ე. მანჯგალაძემ თავისი ფრაზის დასრულება — „რა აზრი ჰქონდა ამ სიშორიდან კარში დარტყმას“, რომ გავიგონეთ მისი აღტაცებული შეძახილი, განთქმული: არის, არის!

თურმე, ისედაც ძლიერად დარტყმულ ბურთს ქარმა (ამჯერად ჩვენმა მოკავშირემ!) დამატებითი იმპულსი მისცა, თანაც მიმართულება შეუცვალა და ბურთი კარის მაღალ კუთხეში გაეხვია. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა!

დარჩენილ 12 წუთში ბიჭებს არ გასჭირვებიათ უპირატესობის შენარჩუნება. თბილისის ვაგზალში გამარჯვებულებს ძალზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

„ა“ კლასის საგზური მოპოვებულია. ასეთი იყო დრამატიზმით აღსავსე პრელუდია „სპარტაკის“ უმაღლეს „საფეხბურთო საზოგადოებაში“ გადასვლისა.

სეზონის დამთავრებისთანავე „სპარტაკი“ დატოვა მეკარე მ. პირაევმა, რომელმაც შემდეგ რამდენიმე წელიწადი მოსკოვის წამყვან გუნდებში (ვვს, „სპარტაკი“) ითამაშა. როგორც სულ მალე გამოირკვა, ეს იყო ძალიან დიდი დანაკლისი ჩვენი გუნდისათვის.

ახლა საჭირო იყო ინტენსიური მზადება მომავალი სეზონისათვის ქვეყნის უძლიერესი სახელოვანი გუნდების კამპანიაში.

გულბათ ტორაძე,
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება).

ინფორმაცია

● **კალათბურთი.** ევროპის ქალთა მორიგი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება 1997 წლის 22-26 მაისს სლოვაკიაში. ექვსი გუნდი (სლოვაკია, რუმინეთი, შვეცია, უნგრეთი, იუგოსლავია, რუსეთი) იასპარეზებს ერთ წრედ. სამი უძლიერესი ნაკრები მიიღებს კონტინენტის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურს.

● **ტაეკვონდო.** ევროპის XI ჩემპიონატში სპარინგში ვაჟთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით იმარჯვეს: 54 კგ — ჰ. ტაპილატუმ (ჰოლანდია), 63 კგ — ტ. ბარადამ (პოლონეთი), 71 კგ — ა. მასლოვმა (რუსეთი), 80 კგ — ლ. ნიკოლასმა (საბერძნეთი), +80 კგ — რ. პეტრაიტისმა (ლიტვა).

● **ხელბურთი.** გათამაშდა ვაჟთა სამივე ევროთასი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ესპანეთის „ბარსელონამ“ მოიგო, თასების მფლობელთა თასი — გერმანიის „ლემგომ“, ფედერაციის თასი კი ესპანეთის „გრანოლიერსას“ ერგო.

● **წყალბურთი.** ვაჟთა სუპერთასის ფინალში ზაგრების „მლადოსტმა“ შინ დაამარცხა იტალიის „რომა“ — 9:7 და საპატიო ჯილდოც ჩაიბარა. პირველი ორთაბრძოლა იტალიაში „მლადოსტმა“ ფრედ (7:7) ითამაშა.

● **მძლეოსნობა.** ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მარათონელთა ტრადიციული შეჯიბრებები. როტერდამში გამარჯვება მოიპოვა ეთიოპიელმა ბელაინეხ დენსამომ — 2:10.30, იგი მეოთხედ დაეუფლა საპატიო პრიზს. ლიმაში იმარჯვა პერუელმა მიგელ მალკუიმ — 2:19.45, რიო-დე-ჟანეიროში — ბრაზილიელმა ელისვალდო კარვალიომ — 2:16.55, მადრიდში — რუსმა სერგეი სტროგანოვმა — 2:19.26.

● **ინდიკარი.** მსოფლიო სერიის მეექვსე ეტაპზე ყველას აჯობა ამერიკელმა მაიკლ ანდრეტიმ („ლოლა-ფორდი“). 200 წრის გავლას მან 1:25.08,074 მოანდომა, რაც საათში 225 კილომეტრზე მეტ სისწრაფეს ნიშნავს.

● **„ფორმულა-1“.** მეოთხე ეტაპი — „გრან-პრი ევროპა“ გაიმართა „ნიურბურგრინგის“ (გერმანია) ავტოდრომზე. გამარჯვება მოიპოვა კანადელმა ჟაკ ვილნევმა („უილიამს-რენო“) — 1:33.26,473 (საშუალო სისწრაფე — საათში 196 კილომეტრი). ფინიშთან მეორე იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ფერარი“) — გამარჯვებულს 0,762-ით ჩამორჩა. მესამე შედეგი აჩვენა ინგლისელმა დევიდ კულტჰარდმა („მაკლარენ-მერსედესი“) — ჩამორჩენა — 32,834. ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: 1. დეიმონ ჰილი (ინგლისი, „უილიამს-რენო“) — 33 ქულა, 2. ვილნევი — 22, 3-4. შუმახერი და ჟან-ალეზი („ბენეტონ-რენო“) — 10-10. კონსტრუქტორთა თასი. 1. „უილიამსი“ — 55, 2. „ფერარი“ — 16, 3. „ბენეტონი“ — 13.

● **ველოსპორტი.** „პორტუგალიის ტურზე“ დაყოფილი სტარტი ძმებმა მიგელ და პრუდენსიო ინდურაინებმა მოიგეს. 15,2 კილომეტრიანი რბოლა მიგელმა 18.57-ში გაიარა, პრუდენსიომ კი 19.18-ში.

● **ჩოგბურთი.** გაიმართა მსოფლიო ჯგუფის პირველი წრის მატჩები ქალთა გუნდებს შორის. იაპონია — გერმანია 3:2 (ტურნირის მთავარი სენსაცია), ავსტრია — აშშ 2:3, ესპანეთი — სამხ. აფრიკის რესპუბლიკა 3:2, საფრანგეთი — არგენტინა 3:2.

ინფორმაცია

„ლელოს“ საჭადრაკო დარბაზი

გვერდის რედაქტორი
გივი გამრეკელი

როგორც ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, ფიდეს ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა, მრავალრიცხოვანი პროტესტების მიუხედავად, ძირფესვიანად შეცვალა ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა. ამის შესახებ, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება კამათი, ამასობაში კი ფიდეს ქალთა კომისიამ, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, გადაწყვიტა ასევე შეიტანოს არსებითი ცვლილებები ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებაში. მოვუსმინოთ ნანა ალექსანდრიას:

ნანა ალექსანდრიას პროექტი

1990 წლიდან მოყოლებული ფიდეს ქალთა კომისია განიხილავდა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ყოველწლიურად გათამაშების შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით ფიდეს კონგრესებზე კურიტიბაში (1993 წ.) და მოსკოვში (1994) ჩვენ წამოვაყენეთ ლასლო პოლგარის რეფორმისტული იდეები. ახლა, როცა ვაჟები ახალ სისტემაზე გადადიან, ჩემი აზრით, ქალებიც ყოველწლიურ ციკლზე უნდა გადავიდნენ მოკლე ნოკაუტ-მატჩებით.

ეს ახალი სისტემა მსოფლიოს მომდევნო პირველობისთვის შეიძლება დეტალურად დამუშავდეს ერევანში ფიდეს მორიგ კონგრესზე. ახლა უკვე უკან დარჩა ყველა შესარჩევი შეჯიბრება, უნდა მოეწყოს მხოლოდ პრეტენდენტთა ტურნირი.

მინდა ფიდეს შევთავაზო ამ შეჯიბრების შემდეგი მოდიფიკაცია: პრეტენდენტების ტურნირი, რომელიც 1996 წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს, ნოკაუტ-მატჩების სერიად გადაკეთდეს, გაიმართოს ამ ნოკაუტ-მატჩების ოთხი რაუნდი 1996 წლის 27 დეკემბრიდან 1997 წლის 12 იანვრამდე, ამასთან, იგი ვაჟთა მატჩების ვადას დაემთხვევა.

როგორც ცნობილია, პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში მონაწილეობის უფლება 10 დიდოსტატს აქვს: ყოფილ მსოფლიო ჩემპიონებს სიე ჟუნსა (ჩინეთი) და მაია ჩიბურდანიძეს (საქართველო), აგრეთვე, პია კრამლინგს (შვეცია), ქეთევან არახამიას (საქართველო), ქეთევან კახიან-გერშინსკას (გერმანია), ნანა იოსელიანს (საქართველო), ალისა გალიამოვას (უკრაინა), ალისა მარიჩს (იუგოსლავია), პენგს (ჩინეთი), ვესნა მისანოვიჩს (ბოსნია და ჰერცოგოვინა). საჭიროა მათ ორი მოჭადრაკე დავუმატოთ, რომლებმაც ბოლო საზონათაშორისო ტურნირში მეშვიდე ადგილი გაინაწილეს: ნინო გურიელი (საქართველო) და სვეტლანა მატვეევა (რუსეთი).

ეს 12 მოჭადრაკე, რომელთაც მესამე რაუნდიდან მსოფლიო ჩემპიონიც შეუერთდება, ოთხრაუნდიან ნოკაუტ-მატჩებს გაითამაშებს.

I რაუნდი — 12 მოჭადრაკე 6 წყვილად დაიყოფა და ორი პარტიისგან შემდგარ მატჩებს ითამაშებს. საყაიმო ანგარიშის შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი სერია ორი პარტიისგან „სწრაფ ჭადრაკში“.

II რაუნდი — პირველ რაუნდში 6 გამარჯვებული სამ წყვილად იყოფა და ორ-ორ პარტიას თამაშობს, საჭიროების შემთხვევაში ასევე ორი დამატებითი „წრაფი პარტიით“.

III რაუნდი — სამ გამარჯვებულს დაემატება მსოფლიო ჩემპიონი, გაიმართება 4-4 პარტიისგან შემდგარი ორი ნახევარფინალური მატჩი.

IV რაუნდი — ნახევარფინალებში გამარჯვებულები ითამაშებენ მატჩს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე. ეს გადამწყვეტი ორთაბრძოლა ექვსი (ან რვა) პარტიისგან შედგება.

ჩემს მიერ შეთავაზებული ციკლის დასაწყისი ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეოთხე რაუნდს უნდა დაემთხვეს; რათა ორივე ეს შეჯიბრება ერთდროულად დამთავრდეს და მათი დახურვისას უკვე ორი მსოფლიო ჩემპიონი გვყავდეს — ვაჟთა და ქალთა შორის.

საპრიზო ფონდი: ის, ვინც პირველ რაუნდში დამარცხდება, 7500 ამერიკულ დოლარს მიიღებს, მეორე რაუნდში დამარცხებული — 15 ათას ამერიკულ დოლარს, მესამე რაუნდში წაგებული — 30 ათას დოლარს.

მსოფლიო პირველობაზე მატჩის მონაწილეები გაიყოფენ 250 ათას დოლარს.

იმედი მაქვს, რომ მოჭადრაკე ქალები (პირველ რიგში — პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილენი) გამოგვეხმაურებიან და ერთად მივალთ ოპტიმალურ ვარიანტამდე.

რა ურჩევნია მამასა...

„კასპაროვი და კარპოვი, უბრალოდ, მტაცებლები არიან

ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე ანატოლი კარპოვსა და გატა კამსკის შორის ბაღდადიდან რუსეთში, „თავისი“ ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში გადატანილად გამოაცხადა. ამის პასუხად პრეტენდენტმა განაცხადა, რომ შესაძლოა უარი თქვას იქ თამაშზე. მერამდენედ რთულდება სიტუაცია მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებით...

ავანსცენაზე ისევ მამა რუსტამი გამოვიდა, რომელიც, აგერ რამდენი წელია, მშობლობასთან ანტრეპრენიორობის, იმპრესარიოობისა თუ მენეჯერობის შეთავსების შესაშურ უნარს ავლენს.

ამგვარად, სიტყვა უფროს კამსკის — რუსტამს:

— 21 აპრილს ფიდედან მართლაც მივიღეთ ოფიციალური წერილი, რომლითაც გვაცნობეს მატჩის გადატანა ბაღდადიდან ელისტაში. ჩვენ დავთანხმდით, მაგრამ შეკითხვებიც დავსვით, რომლებზეც დაუყოვნებლივ უნდა ეპასუხათ: რუსეთში ყოფნისას ვინ იქნება პასუხისმგებელი ჩვენს სიცოცხლეზე? როდის წარმოგვიდგენენ საბანკო გარანტიებს დათქმულ საპრიზო ფონდზე? ჩვენდა დასანანად, პასუხს ვერა და ვერ ვეღირსეთ.

● კორესპონდენტი: თქვენ მგონი გატა კამსკის რეიტინგის კორექციის საკითხიც დაუყენეთ ფიდეს ხელმძღვანელს?

— ყველა მოჭადრაკემ იცის, რომ უკვე ერთ წელზე მეტია გატას მსოფლიოში უმაღლესი რეიტინგი უნდა ჰქონდეს. ფიდემ არ ცნო პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ეგიდით ჩატარებული რამდენიმე შეჯიბრება, რომლებშიც გატამ შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. ეს ხომ გაუგონარი უსამართლობაა! ილიუმჟინოვი დაგვპირდა, კორექციას 1 აპრილისათვის მოვახდენო, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა.

● მართლა შემოგთავაზათ საცხოვრებელი ადგილი რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ?

— ოფიციალურად ჩვენთვის არც ერთი მოწვევა არავის არ გამოუგზავნია.

● მთავარი ახლა გატასათვის ჩემი შეხედულებით, მაინც მატჩის თამაშია...

— ჩემს შვილს ათასნაირად ამუხრუჭებდნენ და მაინც ვერ გადაუღობეს გზა ფინალამდე. კარპოვმა ბევრიც რომ იხტუნოს, შეხვედრას ვერსად გაექცევა. პრეტენდენტი ჩემი შვილიც რომ არ ყოფილიყო, ისევე გააწვალებდნენ, როგორც გატას. კასპაროვი და კარპოვი, უბრალოდ, მტაცებლები არიან, ზვიგენები არიან და ხახიდან ხორცის საუკეთესო ნაჭრების გაშვება არ სურთ. გატას რომ არ ჩაგრავდნენ,. არაერთი სარეკორდო მაჩვენებელი ექნებოდა. მის ასაკში ხომ არავის არ უჩვენებია ასეთი ფანტასტიკური შედეგები.

● რუსტამ, ვინ ურთიერთობს გატასთან ამერიკაში? მეგობრები თუ ჰყავს?

— მხოლოდ ოჯახური ურთიერთობები გვაქვს — ოჯახში ჩემთან და გატასთან ერთად ჩემი ცოლი ბელაც შედის. მეგობარ-ამხანაგები გატას არ ჰყავს.

● მშვენიერთა სქესის წინ აღმართული ბარიერები როდისღა აეხსნება გატას?

— მატჩს რომ ითამაშებს, მერე, დროა ნორმალური ცხოვრება დაიწყოს, ბიჭი ხომ უკვე 22 წლისაა. ბარიერები კი მე არ აღმიმართავს, გატამ თვითონ დასდო აღთქმა და შეიზღუდა თავი. მე მხოლოდ ხელს ვუწყობდი...

● თავისუფალ დროს რითაა გატაცებული?

— სადა აქვს თავისუფალი დრო! უბრალოდ, ტელევიზორის ყურებაც კი გატასათვის დღესასწაულია.

● ჭადრაკში იძულებითი მოცდენის დროს რომელ საქმეს მოჰკიდა ხელი?

— სამედიცინო სკოლაში შესასვლელად ემზადებოდა, რაღაც ინსტიტუტის მაგვარში. ფიზიკას სწავლობდა, ქიმიას. გვარიანად აითვისა. გატა სავსებით დარწმუნებულია, რომ იოლად ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს. დაამთავრებს, სამკურნალო პრაქტიკას დაიწყებს. ჩვენ გვინდა ნორმალური ცხოვრება, მუშაობა გვინდა; არც მაინცდამაინც დიდი ადამიანები ვიქნებით, არც მაინცდამაინც მდიდრები. ბაღი გვექნება, სათევზაოდ ვივლით, ბავშვებს გავზრდით.

● რუსტამ, ჭადრაკს რაღას უპირებთ?

— გადაწყვეტილია, თუ მატჩს წავაგებთ, ჭადრაკს მივატოვებთ. ამ შემოდგომაზე უნდა გავარკვიოთ, როგორ ვიცხოვრებთ; შევდივართ თუ არ შევდივართ ინსტიტუტში... გაუშვი, მტაცებლები თვითონ მორიგდნენ ერთმანეთში... თუმცა, თუ გატა ჩემპიონი გახდება, ცოდვაა ყველაფერზე უარის თქმა...

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ.

კროსვორდი



თარაზულად:

5. შეჯიბრების ბოლო ნაწილი. 6. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი. 10. პოლანდიელი საერთაშორისო დიდოსტატი. 11. ე. ლასკერის წიგნი, თარგმნილი ა. ებრალიძის მიერ. 12. მოღალატე, გამცემი. 13. კუნძული კარის ზღვაში. 15. რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა. 17. შვედი დიდოსტატი ქალის სახელი. 20. ქრისტიანული კულტის სიმბოლო. 21. ნახევარი ქულა. 25. ბურთულად გაკეთებული წამალი. 28. კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული. 29. ჭადრაკის ფიგურა. 30. ციხესიმაგრის გარემოცვა, ბლოკადა. 32. საერთაშორისო დიდოსტატი ქალი. 33. დაფაზე ფიგურის გადაადგილება. 34. გადასახადი ხელშეკრულების მიხედვით. 35. პრესის საერთაშორისო ასოციაციის მიერ დაწესებული პრიზი, რომელიც მიეკუთვნება წლის საუკეთესო მოჭადრაკეს.

შვეულად:

1. ეროვნული საჭადრაკო ფედერაციების გაერთიანება. 2. ნანაზარდი ინდაურის ნისკარტის ზემოთ. 3. ფიგურების განლაგება თამაშის ამა თუ იმ მომენტში. 4. მოწინააღმდეგის მეფეზე თავდასხმა. 7. მატჩ-ტურნირში მ. ჩიბურდანიძისა და ნ. ალექსანდრიას შეხვედრის ადგილი. 8. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში. 9. უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში. 14. ცოლისძმა. 16. ქიმიური ელემენტი. 18. პატარა ტანის გამხდარი კაცი. 19. ძველებური წონის ერთეული. 22. ქალაქის შიგნითა ციხესიმაგრე ძველ რუსეთში. 23. ტურნირში მონაწილე მოჭადრაკეთა სია. 24. სიცილიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. 26. საჭადრაკო კომპოზიტორი, დიდოსტატი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 27. თვალ-მარგალიტებით შემკული ყელსაბამი. 31. იალქანი. 33. მარად მწვანე მცოცავი ბუჩქი.

შეადგინა
ლ. თავარიანმა

ბენჯამინი — «ინსაიდ ჩესი»

ცნობილმა ამერიკელმა დიდოსტატმა ჯოელ ბენჯამინმა ინტერვიუ მისცა ჟურნალ „ინსაიდ ჩესის“ კორესპონდენტს, რომელშიც არაერთ საინტერესო საჭადრაკო პრობლემას შეეხო.

ფიშერი. ბენჯამინი მას არასოდეს შეხვედრია. ძალიან გაუცრუვდა იმედები, როცა ფიშერმა ჭადრაკს თავი დაანება, როგორც ჩანს, სამუდამოდ. ფიშერს, სხვების მსგავსად, როდი აღმერთებს, რადგან ძალიან არ მოსწონს მისი ანტისემიტიზმი. როგორც მოჭადრაკე, ფანტასტიკური იყო, მაგრამ საკმაოდ მძიმე ხასიათის ადამიანია.

კასპაროვი. აი კიდევ ერთი მძიმე ხასიათის მოჭადრაკე. ბოლო ხანებში თითქოს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოჭადრაკეებმა ზურგი შეაქციონ. როგორც მოჭადრაკე, ცხადია, ფანტასტიკურია. „ჩვენ თამაშის სრულიად სხვადასხვანაირი სტილი გვაქვს. იგი ისე იგებს, როგორც მე ვერასოდეს ვერ მოვიგებდი. კასპაროვი დიდებულ სვლებს პოულობს, მაგრამ სრულიად სხვაგვარ პოზიციებში.“

კარპოვი. „მისი სტილი ჩემთვის გაცილებით უფრო გასაგებია — ჩვენ მსგავსი მანერით ვთამაშობთ. რაც შეეხება ჭადრაკის სამყაროში გავრცელებულ ლეგენდას, რომ კასპაროვის პარტიები უკეთესია, ეს ასე არ არის. ეს მოჭადრაკეები, უბრალოდ რომ ვთქვათ, სხვადასხვაგვარნი არიან. ისინი ძალიან შინაარსიან პარტიებს თამაშობენ, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე მოჭადრაკეებია.

იუდით პოლგარი. ჭადრაკისათვის ძალიან სასარგებლოა, როცა ქალი შეჯიბრებაში იწვევს ვაჟს. „მე მოუთმენლად ველი მის გამოსვლებს და ძალიან მაინტერესებს, რა შედეგები ექნება შემდეგში“.

ბენჯამინმა ილაპარაკა თავის ჯერჯერობით ერთადერთ წიგნზე, რომელსაც „არაორთოქსალური დებიუტი“ ჰქვია (ჯ. შილერის თანაავტორობით). მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ თემაზე აქამდე ძლიერი მოჭადრაკეები არა წერდნენ. წიგნში არის იუმორისტული მომენტებიც, „ჭადრაკი ხომ ის თამაშია, რომელიც სიამოვნებას გგვრის“.

ბენჯამინი ჭადრაკში თავის ორ მეგობარ დიდოსტატთან მაიკლ უაილდერსა და ჯონ ფედოროვიჩთან ერთად ვარჯიშობს. მას მიაჩნია, რომ ყველა მოჭადრაკეს თავისი „ბუნებრივი დონე“ აქვს, რომელსაც შეუპოვარი მუშაობის გარეშეც მიაღწევ. მაგრამ ამ დონეზე მაღლა დადგომა შეუძლებელია, მით უმეტეს ახლა, როცა მსოფლიოში ძალიან ბევრი ძლიერი მოჭადრაკეა.

ბენჯამინი კარგა ხანია პროფესიონალი მოჭადრაკეა. მას ჰკითხეს, რატომ ადრევე არ გახდა პროფესიონალი (ჯერ კოლეჯი დაამთავრა ისტორიკოსის სპეციალობით), რაზეც ბენჯამინმა რამდენიმე მიზეზი დაასახელა. მთავარი ის იყო, რომ იგი არ თვლიდა თავს მზად პროფესიონალობისათვის, გარდა ამისა, განათლების მიუღებლად ხომ ძნელია ცხოვრება. ახლა სხვანაირი ვითარებაა. იგი ითამაშებს ჭადრაკს მანამდე, სანამ სიამოვნებას განიცდის, შემდეგ კი სხვა რამეს მოჰკიდებს ხელს. თუმცა, დასძინა ბენჯამინმა, ჭადრაკის მიტოვება გაუძნელდება.

ბენჯამინს ძალიან არ მოსწონს, როცა მოჭადრაკეებთან ერთად შეჯიბრებებში საჭადრაკო კომპიუტერებიც მონაწილეობენ, თუმცა, მისი აზრით, ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება საჭიროა. რა თქმა უნდა, ადამიანის აზროვნება ძალიან განსხვავდება ცნობილ კომპიუტერ „დიპ სოტოსაგან“. მანქანებს მთელი რიგი უპირატესობებიც აქვთ. ისინი არ იღლებიან, არ ღელავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თანხებს ეხება. პრიზებს კომპიუტერები არ იღებენ, მაგრამ თავიანთი შედეგებით მათ განაწილებაზე გავლენას ახდენენ. ბევრი დიდოსტატი იზიარებს ბენჯამინის აზრს.

შემდეგ ბენჯამინმა ილაპარაკა რუსულ ტურნირებში უცხოელების მონაწილეობის შესახებ და დასძინა, რომ ეს შეჯიბრებები საზღვარგარეთელებს არ იზიდავს. მართალია, იქ ძლიერ მოჭადრაკეებთან შეიძლება შეხვედრა, მაგრამ ყველა სხვა თვალსაზრისით (დაბინავება, კვება, ჰიგიენა) ფასი ეკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპორტი ჩვენს პლანეტაზე

ამერიკული ფეხბურთი! რატომ ამერიკული და რა განასხვავებს მას ჩვეულებრივი ფეხბურთისგან? ასეთი შეკითხვებია დასმული წერილში, რომელიც რედაქციას გამოუგზავნა თბილისელმა ავთანდილ კოპლატაძემ.

ამერიკული ფეხბურთი... იქნებ საქართველოშიც გვეწვიოს!

„ლელომ“ მოამზადა პასუხი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

თავდაპირველად ვიტყვით, რომ ამერიკაში და კანადაში, სადაც სპორტის ზემოაღნიშნული სახეობაა გავრცელებული, პოპულარობით ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილ ფეხბურთს დიდად აჭარბებს. მხედველობაში გვაქვს ე.წ. ევროპული ფეხბურთი, რომელმაც ამერიკის კონტინენტზეც წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი.

ამერიკელებისათვის ფეხბურთი, რომელსაც ისინი ეროვნულს — ამერიკულს (ასევე ეროვნულია იგი კანადელებისთვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავსტრალიელებისთვის), უწოდებენ, ყველაზე საყვარელი სანახაობაა. ასეთია ტრადიცია. სათავეებს კი ამერიკული ფეხბურთი იღებს რაგბიდან. უფრო სწორედ, იგი რაგბის და ფეხბურთის ჰიბრიდია და მის შექმნა-დამკვიდრებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის უპირველესად ჰარვარდის უნივერსიტეტს და შემდგომ საერთოდ ამერიკის უნივერსიტეტელებს.

...იდგა 1871 წელი. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველად აიღეს ხელში ოვალური ბურთი — ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი გუნდი და დაიწყო... ერთი შეხედვით ეს იყო რაგბიც, ფეხბურთიც, და კიდევ რაღაც სხვაც, მაგრამ უფრო მკაცრი, დაუნდობელი, ძალისმიერი ვიდრე მანამდე ეხილათ. ამ თამაშს დღესაც არ დაუკარგავს ეს თვისებები და მაყურებელს რომ ჰკითხოთ, თუ რატომ მოსწონს იგი, ერთნიშნა პასუხს ვერ მიიღებთ. ერთნი უპირატესობას ანიჭებენ იმას, რომ ამ თამაშში უხვადაა ძალადობა და სისასტიკე ვიდრე სხვა სპორტში, მეორენი კი მის ღირსებად იმას მიიჩნევენ, რომ თამაში ემოციური და დინამიურია. თუმცა წესებმა ბევრი ცვლილება განიცადა (ძირითადად სიკვდილის შემთხვევების გამო), ძველებური აზარტი მაინც შემორჩა.

მაგრამ დავუბრუნდეთ პირველ წლებს. ჰარვარდიდან ეს თამაში ამერიკის სხვა უნივერსიტეტელებმა აიტაცეს, მაშინ მას უფრო „ბოსტონურ თამაშად“ იცნობდნენ. 1906 წლის შემდეგ, როცა წესებში ცვლილებები შეიტანეს, გარდა მოყვარულებისა, დაიწყო აქტიური მზადება პროფესიული კლუბების ჩამოსაყალიბებლად. 1920 წელს შეიქმნა კიდეც ამ კლუბების გამაერთიანებელი ორგანიზაცია — ამერიკის პროფესიული ფეხბურთის ასოციაცია. კაცმა რომ თქვას, პროფესიონალებისა და მოყვარულების თამაშის წესებში მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. და მაინც, ვინაიდან პროფესიონალებში უფრო ხშირია სერიოზული ტრავმები, მოთამაშეთა შეცვლის არც რაოდენობაა დადგენილი, არც დრო.

რა არის თამაშის მიზანი? ისევე როგორც რაგბიში — ბურთის შეტანა მეტოქის კარის პირით ხაზს იქით, ან გოლის გატანა თამაშიდან. მოედანი სწორკუთხაა — 100 X 53, 33 იარდზე (91X48,5 მ). მოყვარულებში საგოლე ხაზიდან 10 იარდითაა (9,1 მ) დაშორებული კარის ძელები, რაც თითქმის გამორიცხავს ტრავმებს, პროფესიონალებში კი ძელები, პირდაპირ საგოლე ხაზია. ძელების სიმაღლე არ უნდა აჭარბებდეს 20 ფუტს (6,1 მ) და ერთმანეთს დაშორებულია 18 ფუტით და 5 დიუმით (5,55 მ), ჰორიზონტალური ლერძი, რომელიც ძელებს აერთებს, დგება 10 ფუტის სიმაღლეზე (3.05 მ) მიწიდან.

რამდენიმე სიტყვა სხვა დეტალებზე. ბურთის წონაა 14-15 უნცია (435-466 გრ), რაგბის ბურთზე მომცროა, მაგრამ უფრო მკაფიოდ ოვალური, რაც მოთამაშეს ეხმარება უფრო საიმედოდ ჩაბღუჯოს იგი, ამასთან, ცალი ხელით უფრო სწრაფად, შორს და ზუსტად გადასცეს პარტნიორს. რაგბიში თუ 15-15 მოთამაშეა, აქ მოედანზე 11 სპორტსმენია, სულ გუნდში კი 44. სათადარიგონი მოედნის პირითი ხაზის გასწვრივ სხედან. მატჩი 40-40 წუთიანი ორი ტაიმისაგან შედგება, მაგრამ ფიქსირდება მხოლოდ წმინდა დრო, როგორც ეს კალათბურთში და ჰოკეიშია. ტაიმები იყოფა პერიოდებად. შესვენება პირველ და მეორე, მესამე და მეოთხე პერიოდებს შორის თითო წუთია, მეორე და მესამე პერიოდებს შორის კი 10 წუთი (პროფესიონალებში ნახევარი საათი).

საინტერესოა მსაჯობაც. მოედანზე 4 არბიტრია: მთავარი მსაჯი, რეფერი, მსაჯი მინდორზე და მსაჯი — ხაზზე. პროფესიონალებში კი 2 მსაჯი ემატება — საგოლე ხაზებთან.

ახლა, რაც უშუალოდ თამაშს შეეხება. მინდორი დაყოფილია ზონებად და ხაზები 10 იარდითაა ერთმანეთს დაშორებული. გუნდს, რომელიც იწყებს თამაშს, ყოველი შეჩერების შემდეგ (რაც ხშირია — ბურთის მიწაზე ყოველი შეხებისას) ეძლევა ოთხი ცდა, რათა 10 იარდით მაინც წაიწიოს მეტოქის კარისკენ. ე.ი. შეაღწიოს შემდეგ ზონაში. თუ ამას ვერ მოახერხებს, ბურთი გადაეცემა მეტოქეს. რაგბისგან განსხვავებით, სადაც შეიძლება ბურთი გადასცე მხოლოდ უკან, ამერიკულ ფეხბურთში ნებადართულია ბურთის გადაცემა ნებისმიერი მიმართულებით. შეჭიდება, რაგბის მსგავსად, აქაც წესებში შედის. შეჭიდება, ინიშნება ყოველთვის, როცა ბურთი ან მოთამაშე ბურთით შეეხება მიწას. შეჭიდებაში ერთმანეთის პირისპირ დგება მეტოქეთა 8-8 მოთამაშე, ცხადია, ყველაზე ჯანიანები. 3-3 ფეხბურთელი შეჭიდებულთა უკან ელოდება ბურთს. როგორც წესი, რამდენიმე გადაცემას აუცილებლად მოჰყვება პასი ფლანგზე, რის შემდეგ მოთამაშე ცდილობს მეტოქის კარისკენ გაიჭრას ინდივიდუალურად. ამიტომ გუნდებს შეტევაში აუცილებლად საგანგებოდ ჰყავთ „სპრინტერები“. მცველთა სიმაღლე კი 190 სმ-ზე ნაკლები იშვიათობაა, წონა 100 კილოგრამამდეა. კიდევ ერთი: თუ რაგბიში ბურთიან მეტოქესთან შებრძოლება შეიძლება, თანაც მხოლოდ შებოჭვით, ამერიკულ ფეხბურთში ყველაფერი მოდის — ძალისმიერი ბრძოლა ნებისმიერი ფორმით ნებისმიერ მოთამაშესთან, არა აქვს მნიშვნელობა იგი ბურთითაა თუ უბურთოდ. მოთამაშეს შეუძლია მიწიდან ასხლეტილ ბურთს დაარტყას კარში. საგოლე ხაზს მიღმა დამიწება ფასდება 2 ქულით, თამაშიდან გატანილი გოლი კი 3 ქულით. რაკი ძალისმიერი მეთოდები შეუზღუდავია, მოთამაშეების დამცავ აღჭურვილობაში ბევრი რამ შედის — დაწყებული კბილებისა და ყბის დამცველით, თეძოების, ძვლებისა და მკერდის ფარით დამთავრებული.



ცოტა არ იყოს, ასე უცნაურად გამოიყურება ფეხბურთელთა ჩაცმულობა.

დასასრულს ვიტყვით, რომ ამერიკულმა ფეხბურთმა გაარღვია საზღვრები და ევროპელთა თაყვანისცემის თამაშადაც იქცა, მეტიც, აზიაში შეაღწია, განსაკუთრებით პოპულარული კი იაპონიაში გახდა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კერძოდ, 80-იანი წლების მიწურულს, სპორტის ეს სახეობა დაინერგა მოსკოვში, ხარკოვში, ტაშკენტში, ვილნიუსში, ლენინგრადში, მინსკში, სვერდლოვსკში, ჩელიაბინსკში... 1990 წელს კი სსრ კავშირის ფედერაცია ამერიკული ფეხბურთის ევროპულ ლიგაშიც გაწევრიანდა.

საქართველოში? არც იმ წლებში, არც მანამდე და არც შემდგომ იმის თაობაზე, რომ ამერიკული ფეხბურთი შეიძლება საქართველოსაც სწვეოდა, სერიოზული ლაპარაკიც არ ყოფილა. იქნებ ამის მთავარი მიზეზი უბაზობა იყო — საქართველოში ხომ რაგბის მოედანიც არ გაგვაჩნია. რა იქნება მომავალში, ვინ იცის, ამერიკულმა ფეხბურთმა იქნებ ჩვენს ქვეყანაშიც იზეიმოს.

გენო ბაზაძე,
„ლელოს“ მიმომხილველი

„ლელოს“ კონსულტაცია

პატივცემულო რედაქცია, გაზაფხულის დადგომისთანავე კვლავ ვიკრიბებით უბნის ბიჭები მარტივ მოედნებზე (სადაც შემორჩა), განსაკუთრებით გვიზიდავს კალათბურთი, მაგრამ არსად ფარს, მათ შორის სკოლისას, არ აქვს ბადე, ზოგან რკალიც. ხომ არ გვირჩევთ სად შევიძინოთ? ფული შეგროვებული გვაქვს.

გია ხელაძე, კახა თოდუა
თბილისი, ვარკეთილი



პასუხი: სამწუხაროდ, კალათბურთის რკალი ბადით და არც ცალკე ბადე, ჯერჯერობით არც ერთ კომერციულ სტრუქტურას არ შემოაქვს სარეალიზაციოდ. ერთი, რითაც შეგვიძლია დაგეხმაროთ, რჩევაა — თავად დაამზადეთ ბადეც და რკალიც. ნიმუშს აქვე გთავაზობთ.

აიღეთ სქელი მავთული, მოღუნეთ რკალი 45-სანტიმეტრიანი შიდა დიამეტრით. დაამაგრეთ მთელ წრეზე ბაწრის 20-25 კუდი. მათი ბოლოების წყვილ-წყვილად შეერთებით მივიღებთ ბადის ჯერ პირველ, მერე მეორე და ა.შ. მწკრივს. ბაწრის ბუდეები რომ თანაბარი იყოს, გამოჭერით მუყაოს შაბლონი და მათ ზომაზე გააკეთეთ მარყუჟები.

ხელბურთი ● საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ● ვაჟები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა, IV ტური.

პირველივე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი „შევარდენი — სტუ“ და „დინამო“ დინამოელები ლიდერს სულ ორი ქულით ჩამორჩებოდნენ, ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართებოდა. მაგრამ მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა — „დინამომ“ მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, შესვენების შემდეგ კი მეტოქის უპირატესობა აშკარაზე მეტი იყო. საბოლოოდ „შევარდენი — სტუ“ 13 ბურთით აღმოჩნდა წინ — 36:23 და ამ გამარჯვებით პრაქტიკულად გაიინაღდა ჩემპიონობა. „დინამომ“ მეორე დღეს კიდევ ერთი ქულა დაკარგა „მამულთან“ — 29:29 და უკვე 5 ქულით ჩამორჩება ლიდერს, სათამაშო კი სულ სამ-სამი შეხვედრა დარჩა.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ, რომელიც 17-19 მაისს გაიმართება, „სტუ-შევარდენს“ 30 ქულა აქვს, „დინამოს“ — 25, „მამულს“ — 17, ხოლო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს — 8.

ბომბარდირთა დავაში წინაა „სტუ-შევარდენის“ თავდამსხმელი ტიტე კალანდაძე, რომელმაც 16 თამაშში 165 ბურთი გაიტანა.

ახლა გაგაცნობთ ტურის შედეგებს

„შევარდენი — სტუ“ — „დინამო“ 36:23
„მამული“ — ახალგაზრდული ნაკრები 35:31
„შევარდენი — სტუ“ — ახალგ. ნაკრები 30:27
„დინამო“ — „მამული“ 29:29
„შევარდენი — სტუ“ — „მამული“ 40:24
„დინამო“ — ახ. ნაკრები 33:28

სტატისტიკა

სტატისტიკოსები ბოლო წლებში განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალყურს „ალანიას“ გამოსვლებს რუსეთის ჩემპიონატში. ზედმიწევნით ზუსტადაა დათვლილი რამდენჯერ დაარტყეს მეტოქის კარში გამარჯვებულ მატჩებში ოსეთის ფეხბურთელებმა და ისიც თუ რამდენი იყო საპასუხო დარტყმა.

ბოლო ორი წლის მანძილზე შეფარდება აშკარად „ალანიას“ სასარგებლოდ გამოიყურებოდა. [illegible] — ერთ-ერთ ბოლო ტურში „ურალმაშმა“ აშკარად დაჯაბნა მასპინძელი — „ალანიამ“ დაარტყა 12-ჯერ, სტუმრებმა — 17-ჯერ.

ანდრეი ტიხონოვი მეექვსე სპარტაკელია (მოსკოვი) რომელსაც რუსეთის ჩემპიონატში 20-ზე ნაკლები გოლი არ გაუტანია. საგულისხმოა, რომ ყველა სპარტაკელი გოლეადორი (ისინი ექვსნი არიან), ამჟამად უცხოეთში თამაშობენ. ტიხონოვი კი ჯერჯერობით შინაა.

არა პოლიტიკით ერთითა...

5 მაისს ხაშურში პარლამენტის ფეხბურთელთა გუნდი ადგილობრივი „ივერიის“ ვეტერანებს შეხვდა და გაიმარჯვა — 2-1.

ნაწვიმარ მინდორზე თამაში საკმაოდ ტექნიკური, ცოცხალი, მაშასადამე, საინტერესო სანახავი გამოდგა და არც მაყურებელი დაკლებია. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა გია ლომაძემ, მაგრამ ხაშურელმა პაატა ბარბაქაძემ მალე გაიტანა საპასუხო გოლი. მეორე ტაიმის მე-14 წუთზე პარლამენტელების მოუსვენარმა გოლეადორმა გია ლომაძემ ულამაზესი ბურთი მოათავსა მასპინძელთა კარში — მოჭრილი დარტყმა, ძელი, ბადე. ხაშურელებმა ხანგრძლივი და მძაფრი იერიშები დაატეხეს მოწინააღმდეგეს და უთუოდ ფრეს ღირსები იყვნენ, მაგრამ შესანიშნავად იცავდა კარს პარლამენტელთა გოლკიპერი დავით ფეიქრიშვილი.

პირადად ჩემთვის (და ალბათ ბევრი დამსწრისათვის) „დამატებითი“ სიამოვნება იყო მანუჩარ მაჩაიძის ცქერა — ბურთის ძველებური „მიბმა“ ფეხის წვერზე, მისებური გოგმანი, ტექნიკური ილეთები, ანუ ცეცხლოვანება. მადლობა მანუჩარს ამისათვის და სურვილი — მისი პოლიტიკური იმიჯი სპორტულის დარი გახდეს...

ახლო მომავალში (სამიოდ კვირაში) პარლამენტის გუნდი თბილისში საერთაშორისო მატჩს გეგმავს — უკრაინელ კოლეგებს მოელიან.

თამაზ ეზანოიძე

საფრანგეთის თასი — „ოსერს“

პარიზი. „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე საფრანგეთის თასის ფინალურ მატჩში ჩემპიონატის ლიდერმა „ოსერმა“ 2-1 დაამარცხა მესამე დივიზიონის წარმომადგენელი „ნიმი“. საგულისხმოა, რომ მატჩის პირველ ნახევარში „ოსერი“ აგებდა 0-1. მეორე ტაიმში ანგარიში ჯერ გათანაბრდა, თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე კი ლიდერმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„ბაიერნი“ ორ ფრონტზე

გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატში 31 ტურის შემდეგ ლიდერობს დორტმუნდის „ბორუსია“ — 61 ქულა.

მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც ამას წინათ უეფას თასის პირველ მატჩში საფრანგეთის „ბორდოს“ სძლია 2-0, 58 ქულით მეორე ადგილზეა. ამდენივე ქულით მესამეა მიონხენგლადბახის „ბორუსია“. „ბაიერნს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

15 მაისს „ბაიერნი“ უეფას თასზე მეტოქეს მეორე ფინალურ მატჩში შეხვდება ბორდოს სტადიონზე. აქვე დავძენთ, რომ „ბავარიას“ თითქმის სანახევროდ განაღდებული აქვს პრიზის მოპოვება, ვინაიდან ორბურთიანი უპირატესობა საკმაო გარანტია გახლავთ მეტოქის მინდორზე თამაშის წინ.

ქართველების რუსული ფეხბურთი

გაიმართა რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის X ტურის შეხვედრები. გათამაშების ლიდერმა „ალანიამ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „ბალტიკა“ 4-0. როგორც იქნა თავისი ჩვეული თამაში აჩვენა ზაზა რევიშვილმა, რომელიც შეტევის მარჯვენა ფრთის სრული ბატონ-პატრონი იყო. მან ერთი ბურთი გაიტანა და საგოლე გადაცემითაც „დააჯილდოვა“ სულეიმანოვი. სოჭის „ჟემჩუჟინამ“ ზურაბ იონანიძეს თავგურის წყალობით დაამარცხა „ჩერნომორეცი“ 1-0. სამარის „კრილია სოვეტოვი“ კი მამუკა მინაშვილის გოლით გადაურჩა სტუმრად წაგებას „ურალმაშთან“ — 1-1. აკაკი დევაძის გარეშე მოთამაშე „როსტსელმაშმა“ შინ წააგო „როტორთან“ 0-2. ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ ფრედ ითამაშა სანკტ-პეტერბურგში ადგილობრივ „ზენიტთან“ — 1-1 (ზაზა მატჩის მეორე ნახევარში შემოვიდა შეცვლაზე). სეფიაშვილის „ლადამ“ კი ვერაფერი მოუხერხა მოსკოვის „დინამოს“ 0-4. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ტორპედო“ — ცსკა — 2-3

„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ ნ.ნ. 4-0. „კამაზი“ — „ტექსტილშჩიკი“ 1-0.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა მდგომარეობაა ჩემპიონატში და კერძოდ იმ კლუბებში, სადაც ჩვენები თამაშობენ, გთავაზობთ გათამაშების ცხრილს:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. „ალანია“	10	7	2	1	22-8	23
2. „სპარტაკი“	9	6	2	1	15-3	20
3. ცსკა	10	6	2	2	14-8	20
4. „როტორი“	10	5	4	1	15-7	19
5. „კრილია სოვეტოვ“	10	5	3	2	9-5	18
6. „დინამო“	10	4	5	1	13-6	17
7. „ზენიტი“	10	4	3	3	11-10	15
8. „ლოკომოტივი“ ნ.ნ.	10	4	2	4	8-12	14
9. „როსტსელმაში“	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
10. „ლოკომოტივი“ მ.	10	3	3	4	14-12	12
11. „ტორპედო“	10	2	5	3	11-14	11
12. „ბალტიკა“	10	2	5	3	9-14	11
13. „კამაზი“	10	2	2	6	8-15	8
14. „ჟემჩუჟინა“	9	2	2	5	8-17	8
15. „ჩერნომორეცი“	10	1	5	4	5-8	8
16. „ტექსტილშჩიკი“	10	2	1	7	6-14	7
17. „ურალმაში“	10	1	4	5	5-14	7
18. „ლადა“	10	1	4	5	4-14	7

მოამზადა **დათო თავართქილაძე**

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

სტეფან ედბერგი

შვედმა ჩოგბურთელმა სტეფან ედბერგმა შარშან დეკემბერში განაცხადა, რომ 1996 წლის სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება (იგი ძალიან მძიმედ გრძნობს ასაკს). მაგრამ შეიძლება ეს ასე არ მოხდეს. მიმომხილველები განსაკუთრებით იმან დააიმედა, რომ ედბერგმა, რომლისგან რაიმე წარმატებას, შესაძლოა, უკვე აღარავინ ელოდა, მოიგო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ვაჟთა წყვილებს შორის და გუნებაც ერთბაშად გამოუკეთდა.

ისე კი, სამპრასის და აგასის, მუსტერისა და ბეკერის დღევანდელი მეტოქეობის ფონზე ედბერგი ბევრ ექსპერტს უფრო „გუშინდელი დღის“ ჩოგბურთელად მიაჩნია.

ედბერგი დაიბადა 1966 წლის 19 იანვარს შვეციის პატარა ქალაქ ვასტერვიკში, მერე კი ლონდონში დაფუძნება არჩია. 187 სმ სიმაღლისაა და 77 კგ-ს იწონის. ჯერ კიდევ ყმაწვილობისას მიიქცია დიდი ყურადღება, 1980 და 1982 წლებში ევროპის ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის, 1984 წელს გაიმარჯვა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩოგბურთელთა საჩვენებელ ტურნირში, რის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ახალგაზრდა შვედი, რომლის კერპი ყოველთვის ბიორნ ბორგი იყო, მალე ჩაერეოდა მსოფლიოს უძლიერეს ოსტატთა დავაში. ედბერგი პირველი იყო, ვინც მოიპოვა „დიდი სლემი ახალგაზრდებს შორის“. იოლი მისახვედრია; რომ ამ წოდებას ის ჭაბუკი იღებს, რომელიც ნამდვილი „დიდი სლემის“ ანალოგიით 4 უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებაში იმარჯვებს.

ვინ მოთვლის, რამდენ პირველხარისხოვან შეჯიბრებაში გაიმარჯვა ედბერგმა. თავისი კარიერის მანძილზე მიღებული ფულადი პრიზებით (ეს კი, მოგეხსენებათ, დაჯილდოების ერთადერთი საშუალება არ გახლავთ) მან კარგა ხანია 10 მილიონს გადააჭარბა. მაგრამ თვით ედბერგს ყველაზე დიდ ჯილდოდ ის მიაჩნია, რომ ატპ-მ (პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ) მსოფლიოს №1 მოთამაშედ აღიარა. ეს 1990 წელს მოხდა. ედბერგი საუკეთესოდ ცნეს ატპ-ს მიერ დამუშავებულ ქულათა დარიცხვის თავისებური სისტემით, რომელიც 1973 წლიდან მოქმედებს. ედბერგამდე ეს პატივი წილად ხვდათ ილიე ნასტასეს (რუმინეთი), ჯონ ნიუკომბს (ავსტრალია). ჯიმი კონორსს (აშშ), ბიორნ ბორგს (შვეცია), ჯონ მაკინროუს (აშშ), ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია, ახლა აშშ) და მატს ვილანდერს (შვეცია).

საერთოდ, 1990 წელი ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი იყო შვედის კარიერაში. „სეზონის დასაწყისშივე ვთქვი, — აღიარა შემდეგ ედბერგმა, — რომ 1990 ჩემი წელი იქნებოდა“. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ითამაშა მან უიმბლდონში. ნახევარფინალში სძლია ლენდლს, ფინალში კი — ბეკერს. ეს მეტად დამაჯერებელი გამარჯვება იყო.

როცა ედბერგს ეკითხებოდნენ, რას იტყოდა იგი თავისი სტილის ძლიერ და სუსტ მხარეთა შესახებ, იგი ასე პასუხობდა:

— მე კლასიკური სტილის მიმდევარი გახლავართ. ეს კი მოწოდებას, ბადესთან გასვლას, ბურთის დაუშვებლად დარტყმას ნიშნავს. ყოველივე ეს ელემენტები გახლავთ კიდეც ჩემს არსენალში და მათ ჯეროვნად ვფლობ, რა თქმა უნდა, სისუსტეებიც მაქვს — ეს არის უკანა ხაზზე თამაში, გნებავთ, მარჯვნიდან სუსტი დარტყმა. რაც შეეხება იმას, თუ როგორი შედეგებით ვთამაშობ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების წინააღმდეგ, ყველა მათგანი თავისებურ სიძნელეებს მიქმნის და ვცდილობ მათ დაძლევას.

შვედ გულშემატკივრებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ ის, რომ ედბერგმა კარგა ხანია დატოვა თავისი ქვეყანა და მას ფაქტობრივად აღარც ეკარება.

რატომ?

— დიდი გადასახადების გამო.

— დიახ, მაგრამ რატომ აირჩიეთ ლონდონი და არა მონტე-კარლო (სადაც ცხოვრობენ ბორგი, ვილანდერი, სტენმარკი და ბევრი სხვაც)?

— მონტე-კარლოში დიდ გადასახადებს არ ახდევინებენ, მაგრამ ლონდონში ისინი სრულიად უმნიშვნელოა.

უკანასკნელ წლებში გასაგები მიზეზების გამო ედბერგის შედეგები შესამჩნევად გაუარესდა. იგი აპირებს თავი დაანებოს თამაშს, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, შეიძლება ჩოგბურთთან გამოთხოვება ცოტათი კიდევ გადადოს.

ბივი თორელი

თუ გსურთ იყოთ ლამაზი და ტანადი, გამოიყურებოდეთ ენერგიულად, იგრძნოთ სიცოცხლის მეტი ხალისი და გაიკაჟოთ ჯანმრთელობა — ივარჯიშეთ ყოველდღიურად. შემოთავაზებული კომპლექსის თითოეული ვარჯიში გაიმეორეთ 6-8- ჯერ, მერე და მერე შესრულების რაოდენობა გაზარდეთ.



მაკედონელის მარშრუტით

ინგლისში სიარული არა მარტო სპორტის პოპულარული სახეობაა, არამედ გართობისა და დასვენების უებარი საშუალებაც. ამის ერთი დასტური გახლავთ პიტერ სონერის ექსპერიმენტი, რომელმაც განიზრახა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრის მარშრუტით მოგზაურობა. სონერმა ფეხით მოიარა რამდენიმე ათასი კილომეტრი, თანაც შეკრიბა ფული საქველმოქმედო ფონდისთვის და პირადად გადასცა თანხა ავადმყოფებსა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს.

პროფესიულ რინგზე

● **როგორც** იქნა დასრულდა „ბოტას საქმე“. თანაც, დასრულდა იგი სამხრეთაფრიკელი მოკრივისათვის არცთუ სახარბიელოდ. შეგახსენებთ მოკლედ ამ საქმის შინაარსს: შარშან ფრანს ბოტამ მოუგო სატიტულო ბრძოლა გერმანელ აქსელ შულცს და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ქამარი მძიმე წონაში იბფ-ს ვერსიით. მაგრამ, როგორც გაირკვა, მას, ამ ბრძოლის წინ, მიღებული ჰქონდა დოპინგი. ამის მიუხედავად იბფ-მ სამხრეთაფრიკელ მოკრივეს შეუნარჩუნა ტიტული, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. ამ დღეებში აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა იბფ-ს გადაწყვეტილება და ბოტას ჩამოართვა ჩემპიონის ქამარი. ვაკანტური ტიტულისათვის ბრძოლა ახლა უკვე აქსელ შულცსა და მაიკლ მურერს შორის გაიმართება. შულცის პრომოუტერის სედრიკ კუშნირის განცხადებით, მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ბერლინში, 22 ივნისს. შულცის ჰონორარი განისაზღვრა ამ დღეებში. იგი 1 მილიონ დოლარს შეადგენს. მალე გაირკვევა მურერის ფინანსური პრეტენზიები და მატჩის კომერციული პირობები.

● **ჩრდილოეთ** დაკოტას შტატის რადიოთი საინტერესო განცხადება გააკეთა მაიკ ტაისონის ყოფილმა მწვრთნელმა კევინ რუნიმ (რუნი ავარჯიშებდა ჩემპიონს 1985-89 წლებში, მას მერე, რაც გარდაიცვალა ტაისონის აღმომჩენი და პირველი მწვრთნელი კას დ'ამატო). იგი ფიქრობს, რომ ტაისონი, რაკი დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული, აღარ გამოვა რინგზე და თავს დაანებებს კრივს. სამი ბოლო ბრძოლის შემდეგ მისმა შემოსავალმა 65 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც, რუნის აზრით, სავსებით საკმარისია ტაისონისა და მისი ოჯახის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

თუ თქვენ გსურთ სისტემატურად მიიღოთ რუსეთის ახალი საფეხბურთო ფერადი ჟურნალი „მატჩი“ (იბეჭდება ფინეთში უმაღლეს დონეზე), მიაკითხეთ „EXPRESS“. რუსთაველის, 52. (საბაგირო გზის სადგურის შენობა).
ტელ.: 93-66-78.

რამდენს იწონიან „ფორმულა-1“-ის პილოტები?

გოლიათის შეხედულება მათ ნამდვილად არა აქვთ. არც ერთი მრბოლის წონა 80 კგ-ს არ აღემატება. ყველაზე მჩატე, „ფორტის“ გუნდის პილოტი იტალიელი ლუკა ბადოერია — 61 კგ. იოკო კატსიამა — 63,5 კგ. იწონის, შემდეგ მოდიან ანდრეა მონტერმინი — 65 კგ. ჟან ვილნევი — 66,5, რიკარდო როსეტი — 67, ჰანს-ჰარალდ ფრონტეცი — 68, პედრო ლამი — 70, მიკა ხაკენენი — 70,5, მიკა სალო — 73,5, ჟან ალეზი — 74, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიჰაელ შუმახერი — 74,5, ედ ერვინი, მარტინ გრანდლი და დევიდ კულხარდი — 75, დეიმონ ჰილი — 75,5, გერხარდ ბერგერი — 76, ოლივერ ჰანსი — 76,5, იოსა ფერსტაპენი — 78,5. ყველაზე მძიმე რუბენს ბარიკელოა — 79 კილოგრამი.

იუმორი



მთავარია სიზუსტე...

კროსვორდი



თარაზულად: 5. დარტყმა ბილიარდში; 6. ჭადრაკში სვლების მოფიქრებისათვის საჭირო დროის ნაკლებობა; 8. სპორტსმენი; 11. სპორტული შარვალი; 14. სპორტის სახეობა; 15. ცნობილი დანიელი ფეხბურთელი; 16. დანიის საფეხბურთო კლუბი; 17. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ქვეყანა; 21. პერუს საფეხბურთო კლუბი; 22. შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე; 23. საბერძნეთი; 26. პოზიცია ფარიკაობაში; 27. სპორტულ თამაშებში დაცვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური ფორმა; 28. სპორტულ ასპარეზობათა მომწყობი.

შვეულად: 1. ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე და მოიცავს რამდენიმე მწვერვალს; 2. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 3. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 4. სპეციალურად გაწვრთნილი ცხენი ისეთი დოღისათვის, რომელშიც შედის დაბრკოლებათა გადალახვა; 7. საქართველოს საფეხბურთო კლუბი; 9. საფარიკაო იარაღი; 10. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი; 12. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 13. ფეხბურთის სამშობლო; 18. მსროლელი, რომელიც კარგად არის დაუფლებული მიზანში ზუსტად სროლას; 19. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი; 20. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 24. სპორტსმენების საგასტროლო მოგზაურობა გარკვეული მარშრუტით; 25. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი;

შემდგენელი
ლევან ნეფარიძე.

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3 „კოლმეურნე“, 5. განგა, 7, ნავთი, 9. იფანი, 10. ფონი, 13. ფენი, 15. ფერეიდანი, 16. „ლიდია“, 18. ფინია, 19. მარში, 20. გოგრა, 21. კობრა, 24. ირანი, 26. კლინსმანი, 27. იენა, 28. კლეი, 30 ბამბა, 33 ოფისი, 34. გრიმი, 35. ინდუსტრია.

შვეულად: 1. ალტაი, 2. კრინი, 3. კანი, 4. ეშვი, 5. განძი, 6. მარია, 8. ილეთი, 10 ფსიქოლოგი, 11. მელაშვილი, 12. ანგლომანი, 14. იმიგრანტი, 17. ავარა, 18. ფორდი, 21. რანჩო, 13. ასთმა, 25. რელსი, 29. ლიდი, 30 ბინდი, 31. აგარა, 32. „დილა“.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს ოთარ კალაძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „შევარდენის“ წევრი 1920 წლიდან
ნინო მალალაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ოთარ კალაძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ცენტრის თერაპიული კაბინეტის გამგეს, დოცენტ გივი სარალიძეს შვილის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის
ნიკა სარალიძის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 მაისს

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ბელა ძმანაშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.